

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



სალომე ბაკურაძე

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საკითხები

სს თბილისი ბანკის მაგალითზე

შრომა შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

იზოლდა ჭილაძე

თბილისი

2019 წ

## სარჩევი

შესავალი.....	3
თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და კომპონენტები.....	6
1.1 ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები და მომხმარებლები	6
1.2 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და მათი მომზადების მეთოდოლოგია ....	12
თავი 2. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის აქტუალობა.....	19
2.1 ბუღალტრული ბალანსის ანალიზის როლი .....	19
2.2 მოგება-ზარალის ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა.....	31
2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა .....	37
თავი 3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზი.....	48
თიბისი ბანკის მაგალითზე .....	48
3.1 ბუღალტრული ბალანსის კოეფიციენტები ანალიზის შედეგები .....	48
დასკვნა .....	64
გამოყენებული ლიტერატურა .....	67
დანართი.....	69

## ანოტაცია

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის როლი ბიზნესში, განხილულია თავად ფინანსური ანგარიშგება მისი მომზადების ტექნიკა და მომხმარებლები. განხილულია ფინანსური ანგარიშგების თითოეული შემადგენელი ნაწილი: ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება(ბალანსი); ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება (მოგება-ზარალი); ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება; საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება; განმარტებითი შენიშვნები. მათი მნიშვნელობა მომხმარებლებისათვის, თუ რა ინფორმაციის მატარებელია და მათზე დაყრდნობით რა დასკვნებიშეგვიძლია გამოვიტანოთ წარმდგენ კომპანიაზე. გვაჩვენებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას, ლიკვიდურობას, მომგებიანობას და ა.შ.

კვლევის მიზანია დავადგინოთ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის რამდენად სწორად და პროდუქტიულად კეთდება ის. მაგალითისათვის აქ განხილულია სს თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშგების კვლევის შედეგები

კვლევითი საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ასევე თანამედროვე, გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ეროვნული და საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ეროვნული ბანკის დებულებები და სს თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშგება 2015, 2016 და 2017 წლის მონაცემები.

## **Annotation**

### **Analysis of Financial Reporting Issues on JSC TBC Bank example**

**Salome Bakuradze**

This work is presented in the business role of financial reporting in business, discusses the financing statement of its training technique and consumers. Each component of the financing shall be considered: Report on Financial Status (Balance); Reporting on financial results (profit-loss); Reporting on cash flows; Statement of change of own capital; Explanatory notes. Their importance to consumers what information should be and based on what conclusions we can bring to the company. It shows the financial stability of the company, liquidity, profit, etc.

The goal of the research is to prove how properly and productive it is for the financial reporting users. For example, here is the results of JSC TBC Bank's Financial Reporting Survey

The research information base is as well as the works of modern, well-known Georgian and foreign scientists of accounting standards of international standards. The information base of the research is the national and foreign scientific literature, publications, the National Statistics Office's statistics, the National Bank's Statute and JSC TBC Bank's financial statements for 2015, 2016 and 2017.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია კომპანიებში მყარი, სტაბილური ფინანსური რესურსების შექმნისა და ამ რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიღწევა, რის გარეშეც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიღწევა რთული წარმოსადგენი იქნება.

ამ ეფექტიანობის მისაღწევად მნიშვნელოვანია როგორც ცაკლეული კომპანიების სტაბილურობა და ფინანსური დამოუკიდებლობა, საბანკო სექტორი კი ბიზნესის მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტია. ნებისმიერი კომპანია რომელსაც სჭირდება საბანკო მომსახურება, ირჩევს ბანკს რომელიც სთავაზობს კარგ პირობებს და სარგებლობს სანდოობით მომხარებელთა მხრიდან. ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებელთათვის თუ რამდენად სტაბილურია ბანკი, რომელიც მას მომსახურებას უწევს. ამის გადამოწმების ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა ბანკის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც ყველა ბანკი წარადგენს წლის ბოლოს მისთვის განკუთვნილ ვადაში კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს პროგნოზი საწარმოს ზოგადი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, თუ რა სახის საფრთხის წინაშე დგას ის, ელოდება შემდგომი სტაბილურობა თუ მოსალოდნელია სირთულეები. ინანსური ანგარიშგების ანალიზი ეყრდნობა კომპანიის ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, აქვე ძალიან მნიშვნელოვანია ფირმის მიმდინარე ლიკვიდურობა, მისი საქმიანობის სტაბილურობა, ნაღდი ფულის მოძრაობის ხარისხი და კაპიტალის სტრუქტურა.

კომერციული ბანკები ვალდებული არიან გაამჟღავნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, უმაღლესი მენეჯმენტის

ანაზღაურებისა და სხვა მატერიალური საკითხების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების წესი ასევე მოიცავს კორპორაციული და რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც, თავის მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება. აღნიშნული წესის მიხედვით, პილარ 3-ის ფარგლებში დადგენილი გამჟღავნების ფორმები ექვემდებარება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება ერთხელ მაინც. ზუსტი აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობის, მით უფრო, ისეთი რთული ორგანიზმის სრულყოფილად მართვა და საქმიანობის ადექვატურად შეფასება, როგორც კომერციული ბანკია.<sup>1</sup>

**კვლევის მიზანი.** სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შესწავლილ და გააზრებულ იქნეს ფინანსური ანგარიშგება, როგორც ფინანსური ანალიზის ინფორმაციული წყარო, რაც საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნეს რიგი რეკომენდაციები, თუ რომელ ვითარებაში რომელი მიდგომის გამოყენება იქნება უფრო სწორი. ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების, ხარისხობრივი მახასიათებლების ელემენტების და მის მომხმარებლების.

ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობის გააზრება სხვადასხვა ფინანსური მოდელების გაანალიზება, წინასწარ მოხდეს რისკების განსაზღვრა და მათი თავიდან აცილების გზების ძიება, რათა არ აღმოვჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც კომპანიის გაკოტრება გარდაუვალია.

აღნიშნულიდან გამომდინარე **კვლევის ამოცანებია:** ფინანსური ანგარიშგების შედგენის მნიშვნელოვანი ასპექტები, რათა შემდეგ მოხდეს ანალიზი თუ რამდენად სწორად არის შედგენილი ანგარიშგება, რათა დაინტერესებულ მხარეებს გადასცეს სწორი ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგებამ უნდა გადმოსცეს საწარმოზე რეალური ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

---

<sup>1</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=671>

**ნაშრომის კვლევის საგანია:** ფინანსური ანგარიშგება და მისი შემადგენელი ნაწილები. მათი ფინანსური ანალიზის ჩატარება და მიღებული შედეგებით შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი, მისი ფინანსური ანგარიშგება 2015-2016-2017 წლების მიხედვით.

კვლევითი პროექტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები. კვლევითი პროექტის მომზადების პროცესში გამოყენებულია, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ასევე თანამედროვე, გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ეროვნული და საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და სხვადასხვა ინტერნეტ მასალები.

# თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და კომპონენტები

## 1.1 ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები და მომხმარებლები

თანამედროვე პირობებში, სადაც კერძო ბიზნესზე დგას მთელი მსოფლიო ეკონომიკა, არის გამძაფრებული კონკურენცია მსხვილ საწარმოებს შორის, ხოლო პატარა საწარმოები იბრძვიან ბაზარზე თავის დამკვიდრებისა და გადარჩენისათვის ამ ყველა საფეხურზე ყოველი საწარმო თუ დაწესებულება, თავიანთი საქმიანობის შესასრულებლად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: დაგეგმვას, ანუ ამოცანების განსაზღვრას, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს; ამ ამოცანების გადაწყვეტის გზების ძიებას; აღრიცხვას და აანალიზებენ მათი რეალიზაციის მიმდინარეობის გზებს; აკონტროლებენ ხარჯების გაწევის დონეს და ოპერატიულად ხელმძღვანელობენ სტრუქტურულად მათ დაქვემდებარებაში მყოფ ქვედანაყოფებს, რათა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები მათზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტისათვის. იგივე მიდგომაა საბანკო-საფინანსო სფეროშიც, ქართულ ბაზარზე კომერციულ ბანკებს შორის კონკურენცია არის ძალიან გამძაფრებული, ცდილობენ მოიცვან ბაზრის დიდი წილი ამისათვის გარდა უამრავი აქციისა და საცალო კლიენტების გადმოზიდვისა დიდი ბანკები ყიდულობენ პატარა ბანკებს რითაც მათი პორთფელი ავტომატურად გადადის მსხვილი ბანკების განკარგულებაში, აქვე აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის რეგულაციები ბევრი მიკროსაფინანსოსათვის სავალალო აღმოჩნდა, რამაც მსხვილ ბანკებს მისცა საშუალება წვრილ სეგმენტზე მოეცვა.

ბანკების ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვა, რომელსაც სხვა ტრადიციული კომპანიის ბუღალტერიის მსგავსად, საქმე აქვს ბიზნეს მონაცემებთან, ფულადი ნაკადების აღრიცხვასთან, საგადასახადო და სააღრიცხვო დოკუმენტებში ამ ციფრების დაფიქსირებასთან. ეს ციფრები აღებულია მიმდინარე გრძელვადიანი და



მოკლევადინაი ოპერაციებიდან, ოფიციალურად დადასტურებული ფაქტებიდან, როგორცაა :

ფულის მოძრაობა ანგარიშებზე, მოთხოვნების (გაცემული სესხები, ინვესტიციები) აღიარება, ძირითადი საშუალებების შექენა და მათი აღრიცხვა, კაპიტალის გაზრდა, შემოსავლების და ხარჯების განაწილება, მოგება-ზარალის ფორმირება და სხვა.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, საბურალტრო აღრიცხვა კომერციულ ბანკში ესაა ინფორმაციული ნაკადები ფულადი სახსრების, ქონების, კრედიტების, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რომლის მიზანია ბანკის საქმიანობის მართვა, კონტროლი, ანალიზი, შეფასება და დაგეგმვა.

ბუღალტრული აღრიცხვა შეიცავს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია წარმოების მართვისა და ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სამეურნეო საქმიანობის შედეგები საანგარიშგებო პერიოდში და სწორად შევაფასოთ ისინი. სამეურნეო საქმიანობის მახასიათებელი განზოგადებული მაჩვენებლები კი მიიღება ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს და რომელიც არის სააღრიცხვო სამუშაოების საბოლოო შედეგი.

აღრიცხვის განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების და საწარმოო დავალების შესრულებას საანგარიშგებო პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) იწოდება ანგარიშგებად. ბუღალტრული ანგარიშგება ახასიათებს საანგარიშგებო პერიოდის სამეურნეო დავალებების (პროდუქციის წარმოებას, მოგებას და ზარალს) შესრულებას. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ანალიზური და სინთეზური.

ანალიზური აღრიცხვა- არის დაწვრილებითი აღრიცხვა, რომელიც აღრიცხავს საბანკო ოპერაციას სრულად და მოიცავს მის ყველა დეტალით. ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება პირადი ანგარიშების გახსნით, რომლის დროსაც აუცილებელია შემდეგი მონაცემები: ანგარიშის გახსნის თარიღი, დასახელება და ნომერი, კლიენტის დასახელება და ა.შ.

სინთეზური აღრიცხვა- არის განზოგაბებული აღრიცხვა, როდესაც ხდება ანალიზური აღრიცხვის მონაცემების დაჯგუფებას გარკვეული ნიშან-თვისებებით და მისი საშუალებით ხდება ანალიზური აღრიცხვის მონაცემების მართებულობის გადამოწმება. სინთეზური აღრიცხვის დოკუმენტებს მიეკუთვნება ყოველდღიური ბრუნვითი უწყისი და ყოველდღიური ბალანსი.


აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ბუღალტრული ანგარიშგების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი არის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ინფორმაცია ოღონდ მხოლოდ ფაქტიური მონაცემებით. ის ასახავს დამთავრებულ ოპერაციებს და სწორედ ამიტომ მიიჩნევა იგი ობიექტურად. ფინანსური ანგარიშგება მიიჩნევა ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროდ, რომელიც მიიღება გადაწყვეტილების მისაღებად როგორც საწარმოს შიგნით, ასევე მის გარეთ.

ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული ყველა სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. მასში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკისა დასხვა დამატებითი მაჩვენებლების შესახებ.

ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებლებს, რათა მათ შეძლონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. როგორც წესი ფინანსური ანგარიშგებების ტრადიციულ მომხმარებლებად გარე მომხმარებლები ითვლებიან, სწორედ გარე მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ინფორმაციის სახით გამოქვეყნებას ექვემდებარება.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ძირითადი მომხმარებლები და დანარჩენი მომხმარებლები. ძირითადი მომხმარებლებელთა ჯგუფს

მიეკუთნება მომხმარებელთა ჯგუფი რომლებიც დაინტერესებულია ფირმის საქმიანობით  
ესენია ინვესტორები (არსებული და პოტენციური), გამსესხებლები და სხვა კრედიტორები.  
ხოლო დანარჩენ მომხმარებლებელთა ჯგუფში შედის საწარმოთა მენეჯმენტი და  
საზოგადოება, რომლებიც ფირმის საქმიანობით არიან დაინტერესებული, მაგრამ  
მათ გააჩნიათ სპეციფიური მოთხოვნები და საერთო დანიშნულების ფინანსური  
ანგარიშგება საკმარისი არაა. ესენია არიან საწარმოთა მმართველები და საზოგადოება.



როგორც უკვე ავლიშნეთ ფინანსურ ანგარიშგებას ჰყავს თავისი მომხმარებლები, რომელთათვისაც მზადდება აღნიშნული დოკუმენტი, სასარგებლო ინფორმაციის მომხმარებლებზე მიწოდების მიზნით, ანგარიშგების შემდგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ამინფორმაციისმომხმარებელთამოთხოვნები. მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მის აღებად საჭირო ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სახით მიეწოდება. ამიტომ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი უნდა იყოს აუცილებლად მართალი და სამართლიანად ასახავდეს საწარმოს საქმიანობას და მის ფინანსურ შედეგებს. მხოლოდ სწორად და სამართლიანად შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებას შეუძლია მომხმარებლებს მათთვის სასარგებლო ინფორმაცია მიაწოდოს. ეს შედეგი კი მხოლოდ , ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების სრული დაცვით მიიღწევა. როგორც ნებისმიერ ფინანსურ დოკუმენტს ასევე ფინანსურ ანგარიშგებას აქვს თავისი ხარისხობრივი მახასიათებლები, ეს სწორედ ის ატრიბუტებია, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას გადააქცევს მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციად.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები იყოფა ორ ჯგუფად:

1. ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები

2. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამალევენ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობას ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლებს მიეკუთვნება:

- შესაბამისობა-ინფორმაცია უნდა იყოს: სასარგებლო მისი ყველა მომხმარებლისათვის და მისი საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება. მხოლოდ ამგვარი ინფორმაცია შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

- სამართლიანიწარდგენა - ფინანსური ანგარიშგების ეს ხარისხობრივი მახასიათებელი არ გულისხმობს მის სარათლებრივ წარდგენას აქ ნაგულისმებია დოკუმენტის ეკონომიკური შენაარსი.

ინფორმაციის სამართლიანი წარდგენას სამიმახასიათებელი (ასპექტი) გააჩნია: უნდაიყოსსრულყოფილი, ნეიტრალურიდაარუნდაშეიცავდესშეცდომებს :

- სრულყოფილება გულისხმობს ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას რაც ნათელ წარმოდგენას შექმნის საწარმოს ეკონომიკურ მოვლენების შესახებ;

- ნეიტრალური ასახვა გულისხმობს ინფორმაციის წარდგენას მიუკერძოებლად, ტენდენციურობის გარეშე, იგი არ უნდა იყოს რაიმე წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისით მოზადებული.

- შეცდომების არ არსებობა არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს რომ ანგარისგებაში არ არსებობს შეცდომები ან არაფერი აა გამოტოვებული, მაგრამ იგი იქმნის დასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამდლებენ ფინანსური ანგარისგების სარგებლიანობას მოიცავს:

- შესადარისობა - ფინანსური ანგარიშგების ძალზედ მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია. როგორც წესი ფინანსური ანგარიშგება საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ერთმანეთს ერთი ფირმის წარსული და მიმდინარე ფინანსური მონაცემები, ან სხვადასხვა ფირმის ფინანსური მონაცემები, მისი ამ ფუნქციის გამოსაყენებლად ანგარიშგებები უნდა იყოს ფორმით მსგავსი, რომ ინფორმაციის მიმღებს შეეძლოს.

- აღქმადობა სააღრიცხვო ინფორმაციის ძირითადი თვისება აღქმადობა და ის გულისხმობს ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდებას, რომელიც ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისათვის. კერძოდ, ინფორმაციას რომელიც რომელსაც შეიცავს ფინანსური ანგარიშგება გასაგები უნდა იყოს საწარმოს ეკონომიკურის აქმიანობით დაინტერესებული ყველა პირისათვის. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტის მომხმარებლები გარკვეულ ცოდნას ფლობდნენ კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, რათა წარმოდგენა ჰქონდეთ ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო წესებზე.

- დროულობა ნიშნავს რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს მომხმარებლებისათვის ადვილად გასაგები. რისთვისაც საჭიროა ინფორმაციის კლასიფიკაციას, სისტემაზაციას, ნათლად და ლოკალურად წარდგენას.

- შემოწმებადობა ეს ფუნქცია ეხმარება მომხმარებლებს რამდენად სამართლიანად არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია, ამის შემოწმება შესაძლებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი ხერხით: პირდაპირი შემოწმება გულისხმობს მონაცემების და ინფორმაციის შემოწმებას რომელიმე მათგანზე დაკვირვების გზით : მაგალითად შესაძლებელია ფულადი თანხების დათვლით. არაპირდაპირი შემოწმებადობა გულისხმობს ფინანსური მოდელის მთავარი მონაცემების ფორმულირების და მისი სხვა ელემენტების დამოუკიდებლად გამოანგარიშებას. მაგ: მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულების შემოწმება

## 1.2 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და მათი მომზადების მეთოდოლოგია

ფინანსური ანგარიშგება, რომლის მიზანი მომხმარებლებისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა, არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მომხმარებლებისათვის წარდგენა საწარმოს ხელმძღვანელობას ევალება.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

- ბალანსი;
- ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ;

- სხვა ანგარიშგებები, მაგალითად, ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ;

- ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ;

- სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

თითოეულ კომპონენტი ძალზედ მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში, მასში მოცემულია ფირმის ყველ ძირითადი ფინანსური მონაცემი, როგორცაა აქტივების ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შემადგენლობის შესახებ, კონკრეტული პერიოდის დასაწყისში და ამავე პერიოდის ბოლოსათვის. სხვადასხვა კომპანის თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე აქვთ განსხვავებული ბალანსის სტრუქტურა.

ბალანსის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია საკუთარი კაპიტალი სწორედ მისი სტრუქტურით განსხვავდება საწარმოსა ბალანსები ერთმანეთისაგან.

მოგება-ზარალის ანგარიშგება ყველაზე მნიშველოვანია პოტენციური ინვესტორებისათვის, სწორედ მოგება-ზარალის ანგარიშგება უნდა წარადგინოს კომპანიამ საფინდო ბირჟაზე, მასშია წრმოდგენილი მაჩვენებელი -შემოსავალი ერთ აქციაზე, სწორედ მასზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას ყველა პოტენციური ინვესტორი. არსებობს მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადების ორი მეთოდი პირდაპირი და არაპირდაპირი.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადების ორი მეთოდი:

- როცა დანახარჯები დაჯგუფებულია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით

- როცა დანახარჯები დაჯგუფებულია ფუნქციური დანიშნულებების მიხედვით

მოგების-ზარალის უწყისი ასახავს საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. მისი შედგენა ხდება პერიოდულად, გარკვეული დროის მიხედვით და აჩვენებს საწარმოს საქმიანობის შედეგს. მათი შედგენა რეკომენდირებულია კვარტალის მიხედვით, თუმცა, ზოგი ბიზნესისათვის შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს ყოველთვიურად მომზადება. წლიური მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების

მომზადება სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის. არსებობს მოგება-ზარალის მომზადების ორი მეთოდი: პირველ შემთხვევაში დანახარჯები დაჯგუფებულია ეკონომიკური ელემენტების ნიხედვით, მეორე შემთხვევაში დანახარჯები დაჯგუფებულია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. კომერციული ბანკის მოგება-ზარალში არის შემდეგი ელემენტები: საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა საპროცენტო შემოსავალი, საკომისიო შემოსავალი, საკომისიო ხარჯი, წმინდა საკომისიო შემოსავალი, უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებული წმინდა მოგება, წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან, წმინდა მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან, სხვა საოპერაციო შემოსავალი დაკავშირებული საწარმოების მოგების წილი, სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი,

სესხის გაუფასურების რეზერვი, ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების გაუფასურება,

ვალდებულების შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვი, სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება

გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურება/რეზერვის ამოტრიალება, საოპერაციო შემოსავალი გაუფასურების, რეზერვების გათვალისწინებით, პერსონალის ხარჯი, ცვეთა და ამორტიზაცია, ვალდებულებებისა და დანახარჯის, რეზერვის ამოტრიალება/(ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო, ხარჯი , საოპერაციო ხარჯი, მოგება დაბეგვრამდე, მოგების გადასახადის ხარჯი, წლის მოგება.

ფინანსური ანგარიშების მომხარებელთათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფირმის სხვა ანგარიშებებიც, მაგალითად საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ. თუ ფირმის მფლობელი გადაწყვეტს საკუთარი კაპიტალის ამოღებას ფირმის კაპიტალიდან, მისი ეს ნაბიჯი არ აისახება ბალანსში და მოგება-ზარალში, ეს ოპერაცია ანგარიშგებაში კაპიტალის მოძრაობის შესახებ. ანგარიშგება ფირმის კაპიტალის მოძრაობის შესახებ



ასახავს ფირმის მფლობელთა საკუთარი კაპიტალის ცვლილებას დროის პერიოდის განმავლობაში. მის მოსამზადებლად საჭიროა კაპიტალის საწყისი ნაშთი რომელიც უნდა ავიღოთ ფირმის საწყისი ბალანსიდან, ამას დაემატება საწარმოს საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა მოგება, ეს მაჩვენებელი აიღება მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან ასევე დაემატება მფლობელის დამატებითი შენატანატანები და კაპიტლის ამოღება საანგარიშგებო პერიოდში. სწორედ ამ მაჩვენებლების ჯამი წარმოადგენს კაპიტალის ანგარიშის ნაშთს პერიოდის ბოლოსათვის.

ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი. ამ ელემენტების მეშვეობით ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

აქტივი არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას. აქტივებს მოიხმარება ყველა იმ პროდუქციის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რის საშუალებითაც აკმაყოფილებს კომპანია მომხმარებელთა მოთხოვნებს. ხოლო მოხმარებული პროდუქტისა და მომსახურების ღირებულების გადახდა საწარმოში აისახება ფულადი საშუალებების შემოსვლებების შემოდინებით.

ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო ოპერაციების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

ვალდებულებები არის საწარმოს დავალიანება სხვა იურიდიული თუ კერძო პირების მიმართ. თითქმის ყველა კომპანიას გააჩნია იღებს ვალდებულებები, ვალდებულებების ლასიფიკაცია ხდება ორ ჯგუფად, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

საწარმომ ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა მიიჩნიოს, თუ:

- ა) მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ბ) ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- გ) უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;

დ) საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში ვალდებულების სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც კონტრაქტს არჩევანის უფლებას აძლევს, ანგარიშსწორება აწარმოოს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით, გავლენას არ ახდენს მის კლასიფიკაციაზე.

ყველა სხვა ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება, მაგალითად, სავაჭრო ვალდებულებები, ზოგიერთი ტიპის დარიცხვა დაქირავებულ პირთათვის და სხვა საწარმოო დანახარჯები, საბრუნავი კაპიტალის ნაწილია, რომელიც გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უნ- და დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის მიზნებისთვის ერთი და იგივე ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლი უნდა გამოიყენოს. როცა საწარმოს საოპერაციო ციკლი ზუსტად არ არის განსაზღვრული, იგულისხმება, რომ იგი შეადგენს თორმეტ თვეს საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს ვალდებულებების სრულად დაფარვის შემდეგ მის განკარგულებაში დარჩენილი აქტივების ნაწილი და შედგება: საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო კაპიტალის და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

- საწესდებო კაპიტალი არის დამფუძნებელთა მიერ წესდებით განსაზღვრული ინვესტირებული კაპიტალი საწარმოში. იგი წარმოადგენს საწარმოს ვალდებულებას მისი დამფუძნებლების (მესაკუთრეების) მიმართ. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს დამფუძნებელთა მიერ დამატებითი ქონების შეტანით. საწესდებო კაპიტალის გაზრდა საჭიროებს საწარმოს წესდების ხელახალ რეგისტრაციას.

- სარეზერვო კაპიტალს წარმოადგენს წესდებით განსაზღვრული რეზერვის თანხა, რომლის დანიშნულებაც არის მესაკუთრეთა ზარალისაგან დაცვა. საკუთარი კაპიტალის ზრდა შეიძლება მოხდეს ქონების ღირებულების გადაფასებისას, თუ ადგილი აქვს მის ზრდას. აქტივების პირვანდელი ღირებულების გაზრდისას წარმოიქმნება

გადაფასების რეზერვი, რომელიც საკუთარი კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

- გაუნაწილებელი მოგება არის წმინდა მოგება მესაკუთრეთა შორის განაწილებამდე (დივიდენდების სახით).

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ასახავს საწარმოს ფულადი თანხების და მისი ექვივალენტების მიღებასა და გამოყენებას. ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის მომზადება ხდება საკასო პრინციპით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ შემოდინებასა და ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ თანხების მიღების ან გაცემის დროს. კომერციული ბანკში ფულადი ნაკადების ანგარიშგებას გააჩნია შემდეგი ელემენტები: ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მიღებული პროცენტი, გადახდილი პროცენტი, მიღებული საკომისიო, გადახდილი საკომისიო, უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული, შემოსავალი, მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი, გადახდილი პერსონალის ხარჯი, გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა, საოპერაციო ხარჯი, გადახდილი მოგების გადასახადი, ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე, წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში, სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში, კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში, სხვა ფინანსური აქტივები, სხვა აქტივები, წმინდა ცვლილება საოპერაციო, ვალდებულებებში, თანხები სხვა ბანკებში, კლიენტის ანგარიშები, სხვა ფინანსური ვალდებულებები, სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან, გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი, ქაღალდების შეძენა, გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი, ქაღალდების გაყიდვიდან შემოსავალი, გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას, განაღდებიდან მიღებული შემოსავალი, შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ფულის გარეშე

შვილობილი კომპანიების შერწყმა, მიღებული ფულის გარეშე, ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან, შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური, აქტივების შექმნა, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური, აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან, ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, შემოსავალი სხვა ნასესხები სახრებიდან, სხვა ნასესხები სახსრების გადახდა, შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან, სუბორდინირებული ვალის გადახდა, შემოსავალი სავალო ინსტრუმენტების, გამოშვებიდან, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების გადახდა, გადახდილი დივიდენდები, მიღებული დივიდენდები, გადახდილი დანახარჯი, შვილობილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის შექმნა, ჩვეულებრივი აქციების გამოშვება, წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე, წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში, ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში, ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს.

## თავი 2. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის აქტუალობა

### 2.1 ბუღალტრული ბალანსის ანალიზის როლი

ბალანსი ეს არის საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მთლიანი კაპიტალის მდგომარეობა, გამოხატული ფულად ერთეულში. ბალანსი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი მხარე ასახავს აქტივებს, ხოლო მეორე ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამს. ორმხრივობის პრინციპის თანახმად, საწარმოს ქონება წარმოგვიდგება შემდეგი ტოლობის სახით:

**აქტივები = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი.**

ეს ტოლობა ყოველთვის უნდა იყოს დაცული, თუ ბუღალტრული შეცდომა არ არის დაშვებული. მას საბალანსო განტოლებას უწოდებენ და სხვა ფუნდამენტურ პრინციპებს შორის ერთ-ერთი პირველია.

ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ბალანსი, ის განსაზღვრავს ფირმის ფინანსურ მდგომარეობას მოცემული მომენტისათვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ბალანსი გამოხატავს ფირმის დროის კონკრეტული მომენტისათვის განზოგადებულად, ფულად ერთეულებში ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებს და კაპიტალს. სიტყვა ბალანსი ნიშნავს თანასწორობას და ბუღალტერიასი ეს თანასწორობა გამოსახება შემდეგი ტოლობით

**აქტივები=კაპიტალი**

აქტივები წარმოადგენენ რომლებიც მისი საკუთრებაა, მის განკარგულებაშია ან მის მიერ კონტროლირებადია, ღირებულება გააჩნია და სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენება. აქტივებს მიეკუთვნება: მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, პატენტები, ლიცენზიები, ფასიანი ქაღალდები, მასალები, მზა პროდუქცია, საქონელი, ფულადი საშუალებები, მოთხოვნები

ტოლობის მეორე მხარე, კაპიტალი საკუთარი და მოზიდული კაპიტალისაგან (ვალდებულებებისაგან) შესდგება. ისინი მართალია, საერთოდ საწარმოს კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია, მაგრამ შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და აქედან გამომდინარე, უმჯობესია ბალანსირების პრინციპი შემდეგი ტოლობით გამოისახოს:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{მფლობელთა კაპიტალი}$$

ჩვენი კვლევა ეხება კომერციულ ბანკს. ქართულ კომერციულ ბანკებში ბალანსი დგება “საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა მისი გამოყენების ინტრუქციის” მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტი შემუსავებულია და დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2000 წლის 26 ოქტომბრის #3 დადგენილებით. აღნიშნული გეგმა შემიშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საელტაშორისო სტანდარტების დაცვით, ის მომხმარებელს საუალებას აძლევს დროულად მიიღოს ინფორმაცია, ბანკში მომხდარი ოპერაციების შესახებ, რადგან ის დეტალურად და სრულად აღრიცხავს საბანკო ოპერაციებს.

ბალანსის ანალიზისას გამოიყენება მთელი რიგი კოეფიციენტები, როგორცაა: ბალანსის სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებელი, ფინანსური ფარდობის ფატდობითი მაჩვენებელი, წმინდა მიმდინარე აქტივები და საკუთარი საბრუნავი საშუალებები, ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტი. ასევე გვაქვს ბუღალტრულ ბალანსის კომბინირებული კოეფიციენტები, აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელი, საკუთარი საშუალებების ბრუნვდობის მაჩვენებელი

კონკრეტულად საბანკო სექტორისათვის აქტუალური კოეფიციენტებია:

**აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი** = ფულადი თანხების ჯამი/მიმდინარე ვალდებულებებთან

ამ კოეფიციენტის მინიმალური დონეა 20%.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი= მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან

ბანკში ეს კოეფიციენტი უნდა იყოს მიმდინარე ვალდებულებების 90%

საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი - საანგარისგებო პერიოდის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30%

მყისიერი ლიკვიდურობა = მაღალი ლიკვიდური აქტივები/მოთხოვნამდე ვალდებულებები

ეს კოეფიციენტი მინიმუმ 20% ტოლი უნდა იყოს

გრძელვადიანი ლიკვიდურობა = მოთხოვნები ერთ წელზე მეტი ვადით/(საკუთარი კაპიტალი+ ერთი წელზე მეტი ვადის დავალიანება)

შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილი = შემოსავლიანი აქტივები/მთლიანი აქტივები

ეს კოეფიციენტი უნდა იყოს 0,75-0,85მდე დიაპაზონში

საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში= საკუთარი კაპიტალი/აქტივებთან

ეს კოეფიციენტი უნდა იყოს 0,08- 0,15-მდე დიაპაზონში

ვალდებულების კონცენტრაციის კოეფიციენტი=ვალდებულებები /აქტივებთან

ეს კოეფიციენტი უნდა იყოს 0,2- 0,35-მდე დიაპაზონში

ვადიანი ვალდებულებების წილი=მოთხოვნამდე ვალდებულებები/აქტივები

ეს კოეფიციენტი უნდა იყოს 0,1- 0,3-მდე დიაპაზონში

ბუღალტრულ ბალანსში ყველა საწარმო ვალდებულია აჩვენოს მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები განცალკევებულად. ხოლო ბანკს აქვს უფლება აქტივები დავალდებულებები არ წარადგინონ მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლების სახით. აღრიცხვის სტანდარტების განმარტებით, „ უფრო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა მუხლების წარდგენა ლიკვიდურობის ზრდადობის მიხედვით, ვიდრე მიმდინარე და გრძელვადიანი ნიშნის მიხედვით ასახვა. ეს იმითაა გამართლებული, რომ ბანკები არ აწარმოებენ საქონელსა და მომსახურების მიწოდებას მკაფიოდ განსაზღვრულ საოპერაციო ციკლში.(ბასს1. მუხლი 63) იხილეთ საბანკო ბალანსის მუხლები, თიბისი ბანკის მაგალითზე

ცხრილი 2.1.1

აქტივები	2016
ფული და ფულის ექვივალენტები	944,767
სახსრები სხვა ბანკებში	23,824
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	990,642
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	7,133,702
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	430,703
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	372,956
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	95,031



საინვესტიციო ქონება	95,615
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	7,429
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	3,265
სხვა ფინანსური აქტივები	91,895
სხვა აქტივები	170,756
ძირითადი საშუალებები	313,584
არამატერიალური აქტივები	60,698
გუდვილი	26,892
<b>სულ აქტივები</b>	<b>10,761,759</b>
<b>ვალდებულებები</b>	
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	2,199,976
კლიენტების ანგარიშები	6,461,582
სხვა ფინანსური ვალდებულებები	50,153
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება	2,579
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23,508
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	5,646
ვალდებულებისა და დანახარჯების გადახდის რეზერვი	15,294
სხვა ვალდებულებები	62,851
სუბორდინებული ვალი	368,381
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>9,189,970</b>
<b>კაპიტალი</b>	
სააქციო კაპიტალი	20,617
აქციის პრემია	504,161

გაუნაწილებელი მოგება	960,060
წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი	23,327
შენობების გადაფასების რეზერვი	70,460
გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	-3,681
სავალუტო გადაფასების კუმულატორი რეზერვი	-7,538
ბანკის კაპიტალის მფლობელებისათვის მიკუთნებული სუფთა აქტივი	1,567,406
არასაკონტროლო წილი	4,383
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>1,571,789</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>10,761,759</b>

“ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანია რეკომენდაციების მომზადება მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, ბანკის ეფექტიანობის ამალღების მიზნით. ბანკების საქმიანობა დაკავშირებულია რისკებთან, რომლის მინიმუმამდე დაყვანა არა მარტო ბანკების, არამედ მთელი სახელმწიფოს ინტერესებშია. ეკონომიკაში მიმდინარე ნებისმიერი სახის მოვლენა ბანკების საქმიანობაზე აისახება. თვით ბანკებიც დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე და ეკონომიკურ კრიზისებზე. ამდენად, საბანკო რისკების რეგულირება მეტად აქტუალურია. საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს გადახრის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგების უარყოფითი გადახრის ალბათობას. განასხვავებენ ფინანსურ, საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციულ რისკებს.

ფინანსური რისკი არის მოსალოდნელი ცვლილებების რისკი ერთ ან მეტ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთში, ფინანსური ინსტრუმენტის ფასში, საქონლის ფასში, ვალუტის გაცვლით კურსში, ფასების ინდექსში ან განაკვეთებში, საკრედიტო რეიტინგში ან კრედიტის ინდექსში, ან სხვა ცვლადში, არაფინანსური ცვლადის

შემთხვევაში, თუ ეს ცვლადი სპეციფიკური არ არის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის. (ფასს 4).

საკრედიტო რისკი ახასიათებს ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგების ალბათობას.

საბაზრო რისკები გამოწვეულია საბაზრო პროდუქტების ფასების მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებებით. საოპერაციო რისკები ეხება დანაკარგებს ან სანქციის რისკებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საბანკო პროცედურების გაუმართაობით, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით.

საბანკო რისკების რეგულირებისათვის დღეს ძირითადად გამოიყენება ე.წ. ბაზელის (შვეიცარია) კომიტეტის რეკომენდაციები. ბაზელის კომიტეტის მიზანია მსოფლიო მასშტაბით გააძლიეროს საბანკო ზედამხედველობის ხარისხი. კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების რეკომენდაციები გამოაქვეყნა 2007 წელს. ამჟამად მას უკვე ასამდე სახელმწიფო იყენებს. საქართველოში ამ რეკომენდაციების დანერგვა 2011 წელს დაიწყო.

ბაზელის კომიტეტის საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციები ითვალისწინებს სამ ძირითად კომპონენტს:

I. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები (Mინიმუმ ჩაპიტალ ლექჟირემენტს) – მთელი კაპიტალის შეფარდება აქტივებთან არ უნდა იყოს 8%-ზე ნაკლები;

II. ზედამხედველობის პროცესი (შუპერვისორყ ლევიეწ პროცესს) – განიხილება საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. ასევე რისკების მართვისა და ანგარიშების გამჭვირვალობის პრინციპები საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე;

III. საბაზრო დისციპლინა (Mარკეტ დისციპლინე) – ავსებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს (I კომპონენტი) და ზედამხედველობის პროცესს (II კომპონენტი). კომიტეტი მიისწრაფვის საბაზრო დისციპლინის სტიმულირებისაკენ ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოთხოვნების კომპლექსის შემუშავებით.

საბანკო რეგულირების წარმატებით განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია საბანკო საქმიანობის ფინანსური ანალიზი, რომლის ძირითადი ინფორმაციული წყარო ფინანსური ანგარიშგებაა.

F ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასებული იქნეს კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა. ბანკები ვალდებული არიან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამოაქვეყნონ მთელი რიგი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ მის ფინანსურ მდგომარეობას.

საბანკო საქმიანობის ფინანსური ანალიზის ძირითადი მიმართულებებია:

I. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი, როგორცაა: აქტივების ხარისხის შეფასება; პასივების ხარისხის შეფასება; ლიკვიდურობის შეფასება; კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება;

II. მოგებისა და მომგებიანობის დინამიკური და ფაქტორული ანალიზი

III. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი

I. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი

ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაცია საშუალებას იძლევა შესწავლ და შეფასებულ იქნას კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ხარისხი. ცნობილია ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ხერხები. ჰორიზონტალური ანალიზი ბალანსის მუხლების დინამიკურ ჭრილში შესწავლას გულისხმობს. ვერტიკალური ანალიზი კი მის ფარდობით კოეფიციენტებს შეისწავლის.

ფარდობით მაჩვენებლებს მიეკუთვნება როგორც სტრუქტურული, ასევე ხარისხობრივი კოეფიციენტები, როგორცაა ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

საერთოდ, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გამოთვლილ იქნას საკუთარი და კომბინირებული მაჩვენებლები.

ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილი საკუთარი კოეფიციენტებია მისი სტრუქტურული კოეფიციენტები, ლიკვიდურობისა და კაპიტალის ადეკვატურობის

კოეფიციენტები. კომბინირებული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად კი საკმარისი არაა რომელიმე ერთი სახის ანგარიშგების ინფორმაცია. მაგალითად, აქტივების მომგებიანობის გამოსატველად საჭიორ ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია, ფულის ბრუნვის რიცხვის გამოსათვლელად საჭიროა ბალანსისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაცია და ა.შ.

#### ა. ბანკის ბალანსის სტრუქტურის ანალიზი

ბალანსის სტრუქტურის ანალიზი გულისხმობს შემადგენელი ელემენტის პროცენტულ წილს მთელის მიმართ. ეს გულისხმობს ბანკის ბალანსის სტრუქტურის ზოგად დახასიათებას. კეთდება დასკვნები იმის შესახებ, ბალანსის რომელი მუხლი ხასიათდება მაღალი ხვედრითი წილით, რომ მომავალი კვლევა იმ მიმართულებით გაღრმავდეს. ბანკების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურულ ანალიზს აგრეთვე, აქტივებს და პასივების ხარისხის შეფასებასაც უწოდებენ.”<sup>2</sup>

#### ბ. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება

ბანკის კაპიტალის მიზანია უზრუნველყოფილი იყოს ბანკში დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების შენახვის საიმედოობა, საბანკო რისკებით მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, საბანკო ოპერაციების გაფართოება, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების განეიტრალება, სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანა.

ამდენად, კაპიტალი წარმოადგენს ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. არსებობს კაპიტალის განსხვავებული მაჩვენებლები: მინიმალური განაღდებული საწესდებო კაპიტალი, პირველადი კაპიტალი, მეორადი კაპიტალი, საზედამხედველო კაპიტალი.

პირველადი კაპიტალი არის სააქციო კაპიტალი (უკან გამოსყიდვის

---

<sup>2</sup>ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში ი. ჭილაძე გვ. 150-151

გამოკლებით) + წინა წლის მოგებიდან შექმნილი რეზერვები + საემისიო კაპიტალი + წინა წლის გაუნაწილებელი მოგება.

მეორადი კაპიტალი არის მიმდინარე წლის მოგება/ზარალს + მიზნობრივი ფონდები + საერთო რეზერვები (სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი) + ვადიანი პრივილეგირებული აქციები + სუბორდინირებული სესხები.

საზედამხედველო კაპიტალი არის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამი. იგი უნდა იყოს რისკით შეწონილი აქტივების მინიმუმ 12%. საზედამხედველო კაპიტალი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს სააქციო კაპიტალზე.

კაპიტალის ადეკვატურობა უზრუნველყოფს ბანკების ფინანსურ სიძლიერეს, რისკების მინიმუმამდე დაყვანას, გადახდისუნარიანობას, ბანკის საიმედოობას.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.

არსებობს კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრის ძირითადი კოეფიციენტები, რომელთა ნორმატივები დადგენილია ეროვნული ბანკის მიერ (რომელიც პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს), რათა უზრუნველყოფილი იქნეს კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა და საიმედოობა. ესენია: პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი, რომელიც არის პირველადი კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით<sup>Y</sup> შეწონილ აქტივებთან, რომელიც არა ნაკლებ 8% უნდა იყოს.

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი – საზედამხედველო კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამთან, რომელიც არა ნაკლებ 12% უნდა იყოს.

ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი – ბანკის მიერ ერთ ინსაიდერზე გაცემული სესხი და დანარჩენი ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს.

ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი – ყველა ინსაიდერზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს.

ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი – ერთ პირზე გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს.

მსხვილი სესხების კოეფიციენტი – გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას. (მსხვილი სესხი არის ერთ პირზე გაცემული სესხი, რომელიც აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს).

საბლანკო სესხის კოეფიციენტი – ყველა გაცემული საბლანკო (გირავნობის გარეშე) სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.

წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი – იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50%-ს

ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი – ბანკის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება სხვა იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში, ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70%-ს.

საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი – ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს.

ანალიზის დროს ჩამოთვლილი კოეფიციენტების დინამიკის შესწავლა, სწორი დასკვნების საშუალებას იძლევა.

განასხვავებენ კაპიტალიზირებულ და არაკაპიტალიზირებულ ბანკებს.

კაპიტალიზირებულია ბანკები – რომლებიც არიან კონკურენტუნარიანები.

ისინი იზრდებიან, ფართოვდებიან და მომხმარებლებს სთავაზობენ მომსახურების ფართო სპექტრს. მათ შეუძლიათ გაუძლონ დროებით პრობლემებს, გაუმკლავდნენ დაუბრუნებელ სესხებს, შეინარჩუნონ და მოიზიდონ კვალიფიციური თანამშრომლები და მენეჯმენტი.

არაკაპიტალიზირებულ ბანკებს არ შეუძლიათ გაუძლონ პრობლემებს, მათთან ურთიერთობა სარისკოა მომხმარებლებისათვის.<sup>3</sup>

---

<sup>3</sup>ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში ი. ჭილაძე გვ. 155-156



## 2.2 მოგება-ზარალის ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა

მოგება-ზარალის უწყისი აჩვენებს თქვენი შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობას, ანუ ბიზნესის მომგებიანობას. გაითვალისწინეთ, რომ შემოსავლები და ხარჯები არ ნიშნავს მიღებულ / გაცემულ ფულს, რადგან თქვენ შეიძლება გაყიდოთ ან იყიდოთ რამე შემდეგი გადახდის პირობით. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება ყიდვა-გაყიდვისთანავე და არა მაშინ, როცა რეალურად ხდება ამ გარიგებაზე ფულის გადახდა.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს რამდენად ეფექტიანად იყენებს კომპანია თავის რესურსებს.

არსებობს ასეთი პარადოქსი: მაღალი ლიკვიდურობა ეწინააღმდეგება მაღალ მომგებიანობას. მაღალი ლიკვიდურობა მოითხოვს გარკვეული რაოდენობის ფულადი თანხების მუდამ არსებობს. მაღალი მომგებიანობა კი გაინაგარიშება დარიცხვის პრინციპით აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯებს შორის სხვაობით

მოგება-ზარალის ასევე დამახასიათებელია კოეფიციენტები: აქტივების მომგებიანობა= დასაბეგრი მოგება/აქტივების ჯამი \* 100%

ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარზე.

**სააქციო კაპიტალის მომგებიანობა= წმინდა მოგება/საკუთარ კაპიტალთან**

ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი პროცენტი წმინდა მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ სააქციო კაპიტალზე, ეს მაჩვენებელი ძალიან საინტერესოა არსებული და პოტენციური აქციონერებისათვის.

როგორც უკვე ცნობილია კომპანიის მოგება-ზარალი არის სხვაობა მის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ბუღალტრული ბალანსის მთავარ მიზანს ნებისმიერ საწარმოს მოგების დადგენა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად აღრიცხვა თავს უყრის

ყველა შემოსავალს და ყველა ხარჯს და მათი სხვაობა წარმოადგენს კომპანიის მოგებას ან ზარალს. ბანკის შემთხვევაში „შემოსავლები და ხარჯები მოგება ზარალის ანგარიშზე უნდა დაგროვდეს, რათა მათ შორის სხვაობა გამოვლინდეს. ამ მიზნით, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაზე ნაშთის სახით არაფერი არ უნდა დარჩეს. შემოსავლებმა ხარჯები უნდა გადაფაროს, რაც მოგება-ზარალის ანგარიშზე მათი თავმოყრით მიიღწევა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღმრიცხველ ანგარიშებზე რაღაც ნაშთები არ უნდა დარჩეს, ამიტომ მათ დროებითი ანგარიშები ეწოდება. პერიოდის ბოლოს ისინი მოგება/ზარალის ანგარიშით იხურებიან.

მოგება-ზარალის ანგარიში (5501) აქტიურ/პასიური ანგარიშია. მას შეიძლება დარჩეს დებეტის ან კრედიტის ნაშთი. შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვის გზით, მოგება/ზარალის ანგარიშის დებეტში თავს იყრის ხარჯები, ხოლო კრედიტში-შემოსავლები. თუ მოგება/ზარალის (5501) ანგარიშის დებეტის ბრუნვა გადააჭარბებს კრედიტის ბრუნვას, ეს ნიშნავს რომ ხარჯებმა გადააჭარბეს შემოსავლებს და ბანკის საქმიანობიდან მიღებულია ზარალი, თუკი მოგება/ზარალის (5501) ანგარიშის კრედიტის ბრუნვა გადააჭარბებს დებეტის ბრუნვას, ანუ შემოსავლები გადააჭარბებს ხარჯებს მაშასადამე ბანკის საქმიანობიდან მიღებულია მოგება. იხილეთ საბანკო მოგება-ზარალი, თიბისი ბანკის მაგალითზე.

ბანკის მოგება-ზარალის შემთხვევაში გვხვდება ტრადიციული ბიზნესისაგან შედარებით რამდენიმე განსხვავება

„არსებობს ასეთი პარადოქსი: მაღალი ლიკვიდურობა ეწინააღმდეგება მაღალ მომგებიანობას. მაღალი ლიკვიდურობა მოითხოვს გარკვეული რაოდენობის ფულადი თანხების მუდამ არსებობას. მაღალი მომგებიანობა კი მოითხოვს ფულადი თანხების ხარჯვას მოგების მისაღებად. ამასთან, მოგება გაიანგარიშება დარიცხვის პრინციპით აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით. აქედან გამომდინარე, ბანკის მენეჯმენტს მუდამ სჭირდება მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება ლიკვიდურობის

საწინააღმდეგოდ, მომგებიანობის ამალგებისათვის ან პირიქით. მოგება არის კომპანიის საბოლოო ფინანსური ეფექტი ანუ ისეთი შედეგი, რომელიც ფინანსურ ნამატს გულისხმობს (თუნდაც ფულადი თანხები მთლიანად ჯერ მიღებული არ იყოს). ბანკებში იგი გვიჩვენებს, რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული საბანკო რესურსები. მოგება არის კომპლექსური ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელშიც კონცენტრირებულია (თავმოყრილია, ასახულია) კომპანიის ყველა სფეროს საქმიანობის ხარისხი. მოგების მიღება ნიშნავს, რომ ბანკი არა მხოლოდ ფარავს მის ხარჯებს, არამედ გააჩნია შემოსავლების ნამეტი ხარჯებზე.

კომერციული ბანკის მოგება გამოითვლება საბანკო ოპერაციების სახეების მიხედვით, როგორცაა:

- მოგება/ზარალი საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებს სხვაობიდან;
- მოგება/ზარალი საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობიდან;
- მოგება/ზარალი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან;
- მოგება/ზარალი დანარჩენი საქმიანობიდან;
- მოგება დაბეგვრამდე;
- წმინდა მოგება (მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ);
- გაუნაწილებელი მოგება (რომელიც რჩება მოგების გამოყენების შემდეგ).

მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ანალიზში მრავალი კოეფიციენტი შეისწავლება. მოგების ანალიზი და დასკვნები უნდა გაკეთდეს დეტალურად, საბანკო საქმიანობის სახეების შესაბამისად, რათა გამოვლინდეს მოგების გადიდების კონკრეტული გზები. მოგების მაჩვენებლების ანალიზთან ერთად, აუცილებელია შესწავლილ იქნას მომგებიანობის მაჩვენებლები, რომლებიც პროცენტულად ახასიათებენ მომგებიანობის დონეს. მომგებიანობის მრავალი ტიპის მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს.

ამ შემთხვევაში განვიხილოთ მომგებიანობის მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელი,

როგორცაა:

**აქტივების მომგებიანობა = დასაბეგრი მოგება / აქტივის ჯამი \* 100%**

იგი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე.

**სააქციო კაპიტალის მომგებიანობა = წმინდა მოგება / საკუთარ კაპიტალთან**

იგი გვიჩვენებს, რამდენი პროცენტი წმინდა მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ სააქციო კაპიტალზე და საინტერესო მაჩვენებელია აქციონერებისათვის. ანალიზის დროს შეისწავლება მოტანილი მაჩვენებლების დინამიკა ანუ ცვლილების ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები.

ბანკის მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორებია: ბანკის საპროცენტო პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურა, პასივების სტრუქტურის ოპტიმალურობა, მმართველობითი ხარჯების ოპტიმალურობა, მენეჯმენტის დონე, სავალუტო კურსის ცვლილებები, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია მრავალი სახის ფინანსური კოეფიციენტების შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება ბანკების გადახდისუნარიანობის ზრდის, მომგებიანობის ამაღლებისა და რისკების მართვისათვის.“<sup>4</sup>

### ცხრილი 2.2.1

ათას ლარებში	2016 წ
საპროცენტო შემოსავალი	766,410
საპროცენტო ხარჯი	-277,122
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>489,288</b>
საკომისიო შემოსავალი	142,802
საკომისიო ხარჯი	-52,110

<sup>4</sup>ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში ი. ჭილაძე გვ. 156-157

<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>90,692</b>
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებულ მოგებას მირებული დანაკარგები	70,159
სუფთა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	-2,528
სუფთა ზარალი/(მოგება) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	-206
სუფთა მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	9,293
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23,214
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>99,932</b>
სესხის გაუფასურების რეზერვი	-49,202
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების რეზერვი	-558
ვალდებულებების შესრულების გარანტიისა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვი	-771
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	-2,569
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რეზერვი	-11
<b>საოპერაციო შემოსავალი გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით</b>	<b>626,801</b>
პერსონალის ხარჯი	-171,304
ცვეთა და ამორტიზაცია	-27,980
ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი	-2,210
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-108,201
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>-309,695</b>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>317,106</b>

მოგების გადასახადის ხარჯი	-17,421
<b>წლის მოგება</b>	<b>299,685</b>
<b>სულ სხვა მოგება</b>	
<i>პუნქტები, რომელიც შეიძლება რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში</i>	
გასაყიდად ფლობილი ინვესტიციების გადაფასება	522
მოგებას გამოკლებული რეალიზაციის შემდეგ მოგება-ზარალში ხელახლა გამოყენების ზარალი	-11,611
საჩვენებელ ვალუტაში გადაფასების საკურსო სხვაობები	-948
მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში	1,649
<i>პუნქტები რომლებიც არ შეიძლება რეკლასიფიცირებულ იქნეს მოგება-ზარალში</i>	
ძირითადი საშუალების გადაფასება	
მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში	10,928
<b>წლის სხვა სრული მოგება</b>	<b>540</b>
<b>სულ წლის სხვა სრული მოგება</b>	<b>300,225</b>
მოგება მიკუთნული ბანკის მფლობელებისათვის	302,491
მოგება მიკუთნული არასაკონტროლო წილისთვის	-2,806
<b>წლის მოგება</b>	<b>299,685</b>
<b>სულ წლის სრული მოგება მიკუთნული</b>	
ბანკის მფლობელებისათვის	303,031
არასაკონტროლო წილისთვის	-2,806
<b>სულ წლის სრული მოგება</b>	<b>300,225</b>

## 2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი შედეგა სამი ნაწილისაგან: 1. ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან; 2. ინვესტირებული ფულადი სახსრების მოძრაობა; 3. დაფინანსებიდან მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობა.

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან აჩვენებს თქვენს მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგს – დადებითს ან უარყოფითს. საინვესტიციო ფულადი სახსრების მოძრაობა წარმოადგენს თქვენს გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული ფულის მოძრაობას, ხოლო დაფინანსებიდან მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობა აჩვენებს თქვენი კრედიტორისგან (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სხვა კერძო წყაროები) მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობას, როგორცაა: დამატებითი სესხები ან სესხის დაფარვა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგების ფორმა იგივე ფულის მოძრაობის უწყისი, რომლის მიზანია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს პერიოდის განმავლობაში წარმოებაში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით. იგი გვიჩვენებს ფულადი სახსრების მასას და მოძრაობას, ასევე საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი აჩვენებს ფულის გადინებასა და შემოდინებას დროის განსაზღვრულ პერიოდში და ამ პერიოდის საწყის და ბოლო თარიღებში ნაღდი ფულის რაოდენობას. მისი როლი ფინანსურ ანგარიშგების ანალიზში არის ძალზედ მნიშვნელოვანი, რადგან დოკუმენტში ნაჩვენებია ფულადი თანხების შემოდინებისა და გადინების მიმართულებები. ამ ინფორმაციის საშუალებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება აქვთ შეისწავლონ კომპანიის უზრუნველყოფა ფულადი რესურსებით, შესაბამისად შესაძლებლობა იქნება პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას, აქვს თუ არა კომპანიას საკმარისი ფულადი რესურსები

რათა დროულად დაფაროს მისი ვალდებულებები, ასევე შეასაძლებელია შეფასდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა კომპანიის ფინანსური სტრუქტურა, მისი ლიკვიდურობა და შესაძლებლობა დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი საშუალებების რაოდენობრივ მხარეზე.

წმინდა ფულადი ნაკადების ანალიზისათვის არსებობს რამდენიმე კოეფიციენტი, მაგრამ პირველ რიგში შეისწავლება ფულის ნაშთი წინა პერიოდთან შედარებით და მხოლოდ შემდეგ ხდება სხვა კოეფიციენტების ანალიზი. ფულადი ნაკადების ანგარიშგება შედგება სამი განყოფილებისაგან:

- წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან
- წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან
- წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

#### განვიხილოთ თითოეული მათგანი

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმია- ნობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხების დასაფარად, საწარმოო სიმ- ძლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალ ინვესტიციათა განსახორ- ციელებლად, დაფინანსების გარე წყაროთა მოზიდვის გარეშე. ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადების ცალკეული ელემენტის შესახებ, სხვა ინ- ფორმაციასთან ერთად, სასარგებლოა საოპერაციო საქმიანობიდან მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები უმეტესად საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომ- ტანი საქმიანობიდან წარმოიშობა. ამგვარად, იგი, საზოგადოდ, წარმოიშობა ისეთი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად, რომლებიც მონაწილეობენ მოგების ან ზარალის განსაზღვრაში. საოპ- რაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:



- საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები
- თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
- სადაზღვევო საწარმოს მიერ სადაზღვევო პრემიებითა და მოთხოვნებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვევო დახმარებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;
- მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან;
- კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები.

ზოგიერთმა ოპერაციამ, როგორცაა მოწყობილობის ერთეულის გაყიდვა, შეიძლება მოგება ან ზარალი გამოიწვიოს, რაც ჩართულია მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში. ამგვარ ოპერაციებ- თან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ითვლება საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსულ ფულად ნაკადებად. თუმცა, ფულადი სახსრების გადახდა სხვებზე იჯარით გასაცემად განკუთვნილი აქტივების წარმოებაზე ან შექმნაზე, რომელიც შემდგომში გახდა გასაყიდად გამიზნული, როგორც აღწერილია ბასს 16-ის - `ძირითადი საშუალებები` - 68(ა) პუნქტში, მიიჩნევა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადად. ამგვარი აქტივების საიჯარო ქირიდან და შემდგომში მისი გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრებიც ასევე მიიჩნევა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადად.

საწარმოს შეიძლება ფასიანი ქაღალდები და სესხები ჰქონდეს კომერციული გარიგების ან სავაჭრო საქმიანობისათვის. ასეთ შემთხვევაში, ისინი განიხილება იმ

სასაქონლო მარაგის მსგავსად, რომელიც გამიზნულია გასაყიდად. ამიტომ, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან და სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობა. ასევე, საფინანსო დაწესებულებების მიერ გაცემული ავანსები და სესხე-ბი, ჩვეულებრივ, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობა, რადგან ეხება ამ საწარმოს ძირითადი შემოსავლის მომტან საქმიანობას.

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნან მომავალი შემოსავალი და ფულადი ნაკადები. მხოლოდ ისეთი დანახარჯების კლასიფიცირება შეიძლება საინვესტიციო საქმიანობის დანახარჯებად, რომლის გაწევაც იწვევს აქტივის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. ამაში ასევე შედის სამეცნიერო-კვლევით სამუშაო-ებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი სა-შუალებები;

- ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზა-ციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

- სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საწარმოების წილების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები (იმ გადახდების გარდა, როდესაც ამგვარი ინსტრუმენტები მიიჩნევა ფულადი სახსრების ეკვივალენტებად ან შეძენი-ლია კომერციული გარიგების და სავაჭრო მიზნით);

- სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საწარმოების წილების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები (იმ მიღებული სახსრების გარდა, როდესაც ამგვარი ინსტრუმენტები მიიჩნევა ფულადი

სახსრების ეკვივა- ლენტებად ან შეძენილი იყო კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით);

- სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები (იმ სესხებისა და ავან- სების გარდა, რომლებიც გაცემულია საფინანსო დაწესებულებების მიერ);

- სხვა პირებზე გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები (იმ სესხებისა და ავანსების გარდა, რომლებიც მიიღეს საფინანსო დაწესებულებებმა);

- ფიუჩერსული, ფორვარდული, ოფციონებისა და სვოპის ხელშეკრულებებით გადახდილი ფულადი სახსრები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულებები შეძენილია კომერ- ციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით, ან ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია როგორც საფინანსო საქმიანობა;

ფიუჩერსული, ფორვარდული, ოფციონებისა და სვოპ-ხელშეკრულებებით მიღებული ფულადი სახსრები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულებები შეძენილია კომერციუ- ლი გარიგებისა და სავაჭრო მიზნით ან ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია როგორც საფინანსო საქმიანობა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება განიხილება გარკვეული

- პოზიციის ჰეჯირებად, მაშინ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები კლასიფიცირდება იმავე წესით, როგორც ჰეჯირებული პოზიციის ფულადი ნაკადები.

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან მნიშვნელოვანია საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი სასარგებლოა საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად, მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- მესაკუთრეთათვის აქციების შეძენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;
- სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულა- დი სახსრები
- სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;
- მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

არსებობს ფულადი ნაკადების ანგარიშგების ორი მეთოდი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი. პირდაპირი მეთოდით ანგარიშება მზადდება მთავარ წიგნზე დაყრდნობით, ფულადი თანხების აღმრიცხველი ანგარიშიდან. პირდაპირი მეთოდი გვხვდება პრაქტიკაშიც, ხოლო არაპირდაპირი მეთოდი პრაქტიკაში არ გვხვდება განდა გამონაკლისებისა როცა მიზეზთა გამო კომპანიას არ გააჩნია შეასაბამისი სრული ჩანაწერები.

ფულადი ნაკადების ანგარისგების ანალიზი საშუალებას იზლევს შესწავლილ იქნეს:

- 1) რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს საკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით
- 2) ჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოძიება და რომელი გზებითაა ეს შესაძლებელი
- 3) გააჩნია თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით
- 4) როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე
- 5) რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ცხრილი 2.3.1 ფულადი ნაკადები.

ათას ლარებში	2016 წ
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	
მიღებული პროცენტი	735,704
გადასახდელი პროცენტი	-274,955
მიღებული საკომისიო	144,247
გადახდილი საკომისიო	-52,154
უცხოურ ვალუტასი ვაჭრობიდან მიღებული მიღებული შემოსავალი	70,411
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	8,411
გადახდილი პერსონალის ხარჯი	-147,764
გადასახდელი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-103,182
გადახდილი მოგების გადასახადი	-34,279
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>346,439</b>
<b>სუფთა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>	
სხვა ბაკიდან გადასახდელი თანხები და სებ-ში სავალდებულო ნაშთი	-449,150
კლიენტზე გაცემული სესხები და ავანსები	-1,221,499
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში	-11,687
სხვა ფინანსური აქტივები	-22,855
სხვა აქტივები	-741
<b>სუფთა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>	
თანხები სხვა ბანკებში	268,078
კლიენტის ანგარიშები	1,156,780
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,903
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯების უზრუნველყოფა	332

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები.	71,600
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქაღალდების შექმნა	-143,980
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქაღალდების გაყიდვიდან შემოსვლები	11,868
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებიდან მიღებული შემოსავლები	166,871
შვილობილი კომპანიების შექმნა მიღებული ფულის გარეშე	-200,700
ამორტიზირებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შექმნა	-304,109
ამორტიზირებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი	314,231
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შექმნა	-50,516
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,273
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	7,822
<b>წმინდა ფულადი სახსრების საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>-197,240</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>	
შემოსავლები სხვა ნასესხები სახსრებიდან	905,500
სხვა ნასესხები სახსრების გადახდა	-666,156
შემოსავლები სუბორდინირებული ვალიდან	136,817
სუბორდინირებული ვალის გადახდა	-90,416
შემოსავლები სავალო ინსრუმენტების გამოშვებიდან	4,354
გამოშვებული სავალო ინსრუმენტების გადახდა გადახდილი	-4,636

დივიდენდები	
დამატებითი წილის შექმნა არასაკონტროლო აქციების მქონ აქციონერების მიერ	-54,560
ჩვეულებრივი აციების გამოშვება	100,000
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები	-3,495

**ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტი = წმინდ აფულადი ნაკადები პერიოდში / ფულის გადინება პერიოდში**

ამ კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი უნდა იყოს ერთი.

**გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტი = (წმინდა მოგება + ამოარტიზაცია) გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები**

კოეფიციენტის ინტერვალი უნდა იყოს 0,17-0,4 შუალედში

თუ კოეფიციენტი დაბალია 0,17 არსებობს გადახდის უნარიანობის დაკარგვის მაღალი რისკი, ინტერვალის შიგნით არის საშუალო რისკი, ხოლო თუ კოეფიციენტი მაღალია 0,4 მაშინ არის რისკის დაბალი დონე.

**პროცენტის დაფარვის დონე= საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული გადასახადების გადახდამდე / გადახდილი პროცენტი**

**დივიდენდების დაფარვის დონე= საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები / იგივე წმინდა ფულადი ნაკადი გადასახადების გადახდამდე**

**წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი= წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან / წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან**

იგი ახასიათებს, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი რა ხარისხით იფარება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით.

ფულის ეფექტიანობის საერთო კოეფიციენტი = საერთო წმინდა ფულადი ნაკადები / ფულის გადინება წელიწადში

საერთო გადახდის უნარიანობის კოეფიციენტი = (ფულის საწყისი ნაშთი + ფულის შემოდინება) / ფულის გადინება სულ

II. ფულადი ნაკადების ანგარისგების კომბინირებული კოეფიციენტებია ისეთი კოეფიციენტები, რომელთა გაანგარიშებას ანგარიშგების ორი ან მეტი კომპონენტის ინფორმაცია ჭიდება.

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ეფექტიანობა = წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ეფექტიანობა = საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები / შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ეფექტიანობა = საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები / შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი = წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან - წლიური მოგების გადასახადი) / წლიური საპროცენტო ხარჯი.



რენვესტირების კოეფიციენტი= (საერთო წმინდა ფულად ნაკადები - დარიცხულ იდივიდენდი) / გრძელვადიანი აქტივების ზრდა

დადებითი წმინდა ფულადი ნაკადების რენტაბელობა = წმინდამოგება საერთო წმინდა ფულადი ნაკადები

## თავი 3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზი

### თიბისი ბანკის მაგალითზე

#### 3.1 ბუღალტრული ბალანსის კოეფიციენტები ანალიზის შედეგები

როგორც ცნობილია, ნებისმიერი კომერციული ბანკი არის ბიზნესის ტიპური წარმომადგენელი და შესაბამისად მის უმთავარეს მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს მინიმალური დანახარჯებით. მოგება ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგია, ბანკის მოგების სტაბილური ზრდა კი მისი განვითარების მთავარი წყაროა. ბანკის მოგების მოცულობაზეა

დამოკიდებული ისეთი მონაცემები როგორცაა საკუთარი კაპიტალის ზრდა, სარეზერვო ფონდების შევსება, კაპიტალდაბანდებათა ფინანსირება, დივიდენდების გადახდა და ა.შ.

კომერციული ბანკის მოგება არის მისი განვითარების შიდა წყარო, ამიტომაც მოგების მართვა არის საბანკო მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია მინიმალური დანახარჯებით რაც ბანკის შემთხვევაში გამოიხატება რისკების დასაშვები დონის ფარგლებში და ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფით.

ზოგადად, მოგების არსი განპირობებულია მისი ეკონომიკური ბუნებით, რომელიც ვლინდება მისი სამი ძირითადი ფუნქციით: განმანაწილებელი, მასტიმულირებელი და საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი. საბანკო პრაქტიკაში საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების, ანუ მომგებიანობის სინონიმად მიღებულია რენტაბელობა. რენტაბელობა გვიჩვენებს კომერციული ბანკის, როგორც მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის, ფუნქციონირების ეფექტს და ახასიათებს ამ საქმიანობის ეფექტიანობას. მოკლედ თუ

ვიტყვი, რენტაბელობა \_ ესაა შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ასახავს კომერციული ბანკის მომგებიანობას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკის მოგების ფორმირება ხდება საანგარიშო პერიოდში მიღებულ შემოსავლებზე იმავე პერიოდში გაწეული ხარჯების გამოკლებით, მისი რენტაბელობის შეფასების ნებისმიერი მოდელის საკვანძო ელემენტებს მისი შემოსავლები და ხარჯები წარმოადგენენ

როგორც უკვე ვლნიშნეთ ფინანსური ანგარიშგებას ჰყავს თავისი მომხმარებლები, რომლებიც კონკრეტულ გადაწყვეტილებებს იღებენ კომპანიის შესახებ ანგარიშგებაზე დაყდრნობთ. ფინანსირი ანგარიშგების გამოქვეყნების შემდეგ ხდება მისი ანალიზი, რომლის მიზანია რეკომენდაციების მომზადება მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, ბანკის ეფექტიანობის ამალლების მიზნით. ბანკების საქმიანობა დაკავშირებულია რისკებთან, რომლის მინიმუმამდე დაყვანა არა მარტო ბანკების, არამედ მთელი სახელმწიფოს ინტერესებშია. ეკონომიკაში მიმდინარე ნებისმიერი სახის მოვლენა ბანკების საქმიანობაზე აისახება პროპორციულად. ასევე ბანკებსაც დიდ გავლენა შეუძლია მოახდინონ ეკონომიკაზე და ეკონომიკურ კრიზისებზე. ამდენად, საბანკო რისკების რეგულირება მეტად აქტუალურია ყველა მხარისათვის.

განვიხილოთ ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტები თიბისი ბანკის მაგალითზე 2015-2016-2017 წლის მონაცემებზე დაყდრნობით. თავდაპირველად გავიაროთ ბალანსის კოეფიციენტები. ბალანში მოცემული ინფორმაცია “ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაცია საშუალებას იძლევა შესწავლ და შეფასებულ იქნას კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ხარისხი. ცნობილია ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის ხერხები. ჰორიზონტალური ანალიზი ბალანსის მუხლების დინამიკურ ჭრილში შესწავლას გულისხმობს. ვერტიკალური ანალიზი კი მის ფარდობით კოეფიციენტებს შეისწავლის.

---

<sup>5</sup>ირაკლიკოვზანაძეგოგიკონტრიძეტანამდეროვესაბანკოსაქმე, გვერდი 249

ფარდობით მაჩვენებლებს მიეკუთვნება როგორც სტრუქტურული, ასევე ხარისხობრივი კოეფიციენტები, როგორცაა ლიკვიდურობის კოეფიციენტები. საერთოდ, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გამოთვლილ იქნას საკუთარი და კომბინირებული მაჩვენებლები.

ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილი საკუთარი კოეფიციენტებია მისი სტრუქტურული კოეფიციენტები, ლიკვიდურობისა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები. კომბინირებული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად კი საკმარისი არაა რომელიმე ერთი სახის ანგარიშგების ინფორმაცია. მაგალითად, აქტივების მომგებიანობის გამოსატველად საჭირო

ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია, ფულის ბრუნვის რიცხვის გამოსათვლელად საჭიროა ბალანსისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაცია და ა.შ.”<sup>6</sup>

ზოგადად ბიზნესის ბალანში მნიშვნელოვანია აქტივები და მათი სტრუქტურა, მისი შესწავლისას ნათლად ჩანს მენეჯმენტის უნარი, მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით და ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნებით, ანუ რამდენად უზრუნველყოფს იგი, ოპტიმალურად გაანაწილოს საკუთარი და მოზიდული სახსრები სხვადასხვა სახეობის აქტივში.

„ის, თუ რამდენად ოპტიმალურია აქტივების სტრუქტურა, რამდენად მიზანშეწონილად და საიმედოდაა ისინი დაბანდებული, რამდენად არის დაცული ბალანსი მომგებიანობასა და რისკიანობას შორის, განაპირობებს კომერციული ბანკების მდგრადობას, ანუ ამ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და სხვა სახსრების უსაფრთხოების გარანტირებას. აქედან გამომდინარე, ცალკეული ბანკისა და მთლიანად საბანკო სისტემის მიერ აქტივების განთავსებისას ფრთხილ და გონივრულ გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ცალკეული ბანკების გაკოტრება იწვევს მის პასივში აღრიცხული

---


<sup>6</sup>ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში იხოლდა ჭილაძე გვერდი 151

ფულადი სახსრების მეპატრონეთა ფინანსურად დაზარალებას და ხშირად გაკოტრებასაც. ერთი ბანკის გაკოტრებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სუბიექტების მიერ სხვა, ჯანსაღი ბანკებიდან ანაბრების მასობრივი გატანის პროვოცირება, შეიძლება დაიწყოს ჯაჭვური რეაქცია, ე. წ. „დომინოს ეფექტი“, ანუ კრიზისში ჩათრეულ იქნენ სხვა ბანკები და მთელი ფინანსური ბაზარი. ისტორიულად ბანკების გაკოტრების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ აქტივების არასწორი, არაჯანსაღი სტრუქტურის შედეგია უხარისხო, პრობლემური აქტივების მაღალი ხვედრითი წილით.

როგორც წესი, აქტივების ხარისხის უმთავრესი მახასიათებელი საკრედიტო პორტფელის ხარისხია. რა იწვევს გაცემული სესხების პორტფელის ხარისხის გაუარესებას? რა თქმა უნდა, არაკვალიფიციური მენეჯმენტი, რაც გულისხმობს კრედიტების გაცემის პროცესის ლიბერალურ ხასიათს, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით დაკრედიტების მოცულობის ზრდას რისკების გაზრდის ხარჯზე, კრედიტის უზრუნველყოფის ლიბერალურ შეფასებას და ხარვეზებს მათ დოკუმენტურად გაფორმებაში, ხარვეზებს ანგარიშგებაში, გაცემული სესხების არასრულ და არაკვალიფიციურ მონიტორინგს, ნეგატიურად კლასიფიცირებული კრედიტების მაღალ კონცენტრაციას და ა.შ.“<sup>7</sup>

---

<sup>7</sup> ირაკლი კოვზანაძე, გოგი კონტრძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. გვერდი 182



ცხრილი 3.1. შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილი

მაჩვენებელი	2017	2016	2015
შემოსავლიანი აქტივები	11,123,735	9,096,598	5,989,037
მთლიანი აქტივები	12,937,198	10,761,759	6,934,995
შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილი	<b>0,85</b>	<b>0,85</b>	<b>0,86</b>

ამ კოეფიციენტის დიაპაზონი არის 0,75 დან 0,85-მდე

დინამიკაში 2015 წლიდან 2017 წლამდე აღნიშნული კოეფიციენტი მოექცა მის საღვრებში რაც ბანკზე რათქმაუნდა დადებითად აისახება, რადგან ბანკის აქტივებში დიდი წილი უკავია მის შემოსავლიან აქტივებს მაგრამ დაბალანსებულია დანარჩენი აქტივების ხვედრითი წილი მის ბალანსში.

**ცხრილი 3.2. შემოსავლიანი აქტივების ფარდობა შემოსავლიან პასივებთან**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
შემოსავლიანი აქტივები	11,123,735	9,096,598	5,989,037
შემოსავლიანი პასივები	10,480,037	8,661,558	5,291,505
კოეფიციენტის შედეგი	1,06	1,05	1,13

2015 წლიდან 2017 წლამდე ვითარდება ფინანსური ბაზარი იმატებს კონკურენცია, შესაბამისად ამ პირობებში ბანკებისათვის თითოეული პარამეტრის ნორმაში ყოფნა ძალიან ძნელია თიბისი ბანკის მაგალითზე შემოსავლიანი აქტივების ფარდობა შემოსავლიან პასივებთან დინამიკაში კარგი არის, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული კოეფიციენტი იმყოფება მის ქვედა ზღვართან ძალიან ახლოს.

**ცხრილი 3.3. გაცემული სესხების ფარდობა აქტივებთან**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
გაცემული სესხები	8,325,353	7,133,702	4,444,886
აქტივები	12,937,198	10,761,759	6,934,995
გაცემული სესხების ფარდობა აქტივებთან	<b>0,64</b>	<b>0,66</b>	<b>0,64</b>

ამ კოეფიციენტის დიაპაზონი როგორც უკვე ავლიშნეთ 0,53-0,78 შეადგენს, მოგვეხსენება ბანკის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს საბანკო სესხები შესაბამისად ყველა ბანკი ორიენტირებულია სესხების გაცემაზე და შესაბამისად შემოსავლის მქსიმიაზაციაზე, თუმცა ყოველთვის არსებობს ზღავრი თუ რა მოცულობის სესხების გაცემა შეუძლია ბანკს მიდი მიმდინარე აქტივებიდნ გამომდინარე, ან რა მოცულობის სესხზე ნაკლები არ უნდა გასცეს რათა ბანკის იყოს სტაბილური და შემოსავლიანი. ამ კოეფიციენტის მაღალი დონე პირდაპირ მიანიშნებს ბანკის აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას, თიბისი ბანკისათვით ეს კოეფიციენტი არის ნორმის ფარგლებში, რაც მიანიშნებს რომ ბანკს აქვს არცეული სწორი საკრედიტო პოლიტია მაგრამ შეუძლია თავს უფლება მისცეს ბაზარზე შევიდეს უფრო აგრესიულადაც რადგან კოეფიციენტის მნიშვნელობა ზედა ზღვართან ახლოს არ არის.



**ცხრილი 3.4. გაცემული სესხების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
გაცემული სესხები	8,325,353	7,133,702	4,444,886
საკუთარი კაპიტალი	21,014	20,617	19,587
გაცემული სესხების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	<b>398,18</b>	<b>346,01</b>	<b>226,93</b>
რეზერვი	<b>390</b>	<b>-771</b>	<b>-771</b>

ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი კოეფიციენტია ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში, იმ შემთხვევაში თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა რეზერვზე მეტია ნიშნავს რომ ბანკს საკრედიტო საქმიანობაში საკუთარი კაპიტალის სინაკლებეს განიცდის. თიბისი ბანკის შემთხვევაში აშკარაა ამ კოეფიციენტის დაბალი მაჩვენებელი მაგრამ აქვე ფაქტია რომ 2015 წლიდან 2017 წლამდე დინამიკაში ეს მდგომარეობა უმჯობესდება და უკვე ბოლო წელს მისი შედეგი მისაღებ ზღავრს უსწორდება.

**ცხრილი 3.5. საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
საკუთარი კაპიტალი	21,014	20,617	19,587
აქტივები	12,937,198	10,761,759	6,934,995
საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში	• <b>0,0016</b>	<b>0,0019</b>	<b>0,0028</b>

აღნიშნული კოეფიციენტი უნდა იყოს 0,08 და 0,15 ინტერვალში თუ ეს კოეფიციენტი 8% დაბალია ვივარაუდებთ რომ ბანკი გაკოტრების საფრთხის წინაშეა, ამ შემთხვევაში თიბისი ბანკის მაგალითზე კოეფიციენტი არის კრიტიკულ ზღავრზე.

**ცხრილი 3.6. ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
ვალდებულებები	11,088,836	9,189,970	5,716,546
აქტივები	12,937,198	10,761,759	6,934,995
<b>ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი</b>	<b>0,86</b>	<b>0,85</b>	<b>0,82</b>

ამ კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა არის 0,2-0,35 ის საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ბანკის საიმედოობა. ამ მაგალითზე თიბისი ბანკის გაცდენილია კრიტიკულ ზღავრს.

**ცხრილი 3.7 მოთხოვნამდე ვალდებულებების წილი**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
მოთხოვნამდე ვალდებულებები	2,644,714	2,199,976	1,113,574
აქტივები	12,937,198	10,761,759	6,934,995
<b>მოთხოვნამდე ვალდებულებების წილი</b>	<b>0,2</b>	<b>0,2</b>	<b>0,16</b>

ამ კოეფიციენტის ოპტიმალური შუალედი არის 0,2-0,4 ის ბანკის მდგრადობის რისკის მინიმალიზაციას ახასიათებს, ჩვენი ბანკის მაგალითზე დინამიკაში 2015 წლიდან კოეფიციენტის მნიშვნელობა არის გაუმჯობესებული და 2015 და 2016 წელი სტაბილურია.

ბალანსის კოეფიციენტებში ძალიან მნიშვნელოვანია ლიკვიდურობის , კოეფიციენტები განვიხილოთ აბსოლიტური ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

**ცხრილი 3.7. აბსოლუტური ლიკვიდურობა**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
ფულადი თანხები	2,644,714	2,199,976	1,113,574
მიმდინარე ვალდებულებები	10,480,037	8,661,558	5,291,505
<b>მოთხოვნამდე ვალდებულებების წილი</b>	<b>0,25</b>	<b>0,25</b>	<b>0,21</b>

ამ კოეფიციენტის მინიმალური მნიშვნელობა უნდა იყოს 20%, თიბისი ბანკის შემთხვევაში ბოლო წლების მანძილზე მისი მინიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა 2015 წელს 21% ხოლო 2016 და 2017 წლებში მაჩვენებელი გაიზარდა 25% რაც რათმაუნდა დადებითად აისახება ბანკის სტაბილურობაზე და მის ლიკვიდურობაზე.

რაც შეეხება მოგება-ზარალის ანგარიშგებას ის აჩვენებს ბიზნესის ფინანსური აქტიურობის შესახებ ინფორმაციას რაღაც პერიოდის განმავლობაში. ის უპირველესი დოკუმენტია, რომელიც კომპანიამ უნდა წარადგინოს, რადგან მასში ასახულია შემოსავალი ერთ აქციაზე, რომელიც ძალიან საინტერესოა ბირჟაზე არსებული პოტენციური ინვესტორებისათვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტებია შემოსავლები და ხარჯები. ბასს-ის მიხედვით, „საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შემოსავლისა და ხარჯის ყველა მუხლი ჩართული უნდა იყოს ამავე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“.

მოგება-ზარალის ანგარიშგება ორი მეთოდით შეიძლება მომზადდეს. ესენია: როცა დანახარჯები ჯგუფდება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით და როცა დანახარჯები კლასიფიცირდება ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. მათი შერჩევა დამოკიდებულია საქმიანობის შედეგების უკეთ წარმოჩინების შესაძლებლობებზე.

განვიხილოთ კომერციული თიბისი ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგების კოეფიციენტები

**ცხრილი 3.8 აქტივების მომგებიანობა**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
დასაბეგრი მოგება	2,644,714	2,199,976	1,113,574
აქტივების ჯამი	397,443	317,106	317,106
<b>აქტივების მომგებიანობა</b>	<b>0,25</b>	<b>0,25</b>	<b>0,21</b>

აღნიშნული კოეფიციენტის შედეგები ბოლო წლების მანძილზე არის სტაბილურად დინამიკაში ვიტარდება, რაც მიუნიშნებს ბანკის სტაბილურობას, აქტივების მომგებიანობა კარგ ხარისხს.

**ცხრილი 3.9. სააქციო კაპიტალის მომგებიანობა**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
წმინდა მოგება	362,781	299,685	261,759
საკუთარი კაპიტალი	21,014	20,617	19,587
<b>სააქციო კაპიტალის მომგებიანობა</b>	<b>17,26</b>	<b>14,53</b>	<b>13,36</b>

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კოეფიციენტია სააქციო კაპიტალის მომგებიანობის, ზოგადად ნებისმიერი ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი კაპიტალის დიდი წილი ბიზნესში და შესაბამისად მისი მომგებიანობა, რაც უფრო მეტია სააქციო კაპიტალის მომგებიანობა მით უკეთესია ბიზნესისათვის. თიბისი ბანკის მაგალითზე ეს კოეფიციენტი კარგ მდგომარეობაშია და ვითარდება დინამიკაში.

**ცხრილი 3.10. ფულის ბრუნვის რიცხვი**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
შემოსავალი	744,402	626,801	328,375
ფულადი თანხების საშუალო ნაშთი	416,371	201,768	130.942
<b>ფულის ბრუნვის რიცხვი</b>	<b>1.78</b>	<b>3.11</b>	<b>2.51</b>


ფულის ბრუნვის რიცხვის კოეფიციენტი გვიჩვენებს საქმიანობაში ავანსირებული ფულადი სახსრები რამდენჯერ ბრუნდება უკან წელიწადში, ამ მხრივ თიბისი ბანკს ყლებისმიხედვით უფიქსირდება სხვადასხვა მონაცემები, ყველზე კარგი ეს მაჩვენებელი 2016 წელს იყო, 2017 წლის მდგომარეობით მაჩვენებელმა დაიკლო 3,11დან გახდა 1,78.

**ცხრილი 3.10. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი**

მაჩვენებლები	2017	2016	2015
ფულადი თანხების საშუალო ნაშთი	416,371	201,768	130.942
წლიური საპროცენტო ხარჯი	432,142	277,122	236,885
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	<b>-0.96</b>	<b>-0.73</b>	<b>-0.55</b>


პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს თურამდენად შეუძლია ბანკს მიმდინარე ფულადი სახსრებით დაფაროს წლიური საპროცენტო ხარჯი, ამ შემთხვევაში თიბისი ბანკს არ აქვს სახარბიელომდგომარეობა მაგრამ დინამიკაში კოეფიციენტი უკეთესი ხდება 2016 წლისათვის თითქმის 1 გახდა რაც ნიშნავს რომ ბანკი უახლოვდება მდგომარეობას როცა შეძლებს არსებული ფულადი სახსრებით წლიური საპროცენტო ხარჯის დაფარვას.

გრაფიკი 3.1 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები



გრაფიკ 3.1-ზე აღწერლილია კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდის დინამიკა 2015 წლიდან 2017 წლამდე ათას ლარებში, სადაც ნათლად ჩანს ბანკის მიერ გაცემული სესხების ზრდის ტემპი.


გრაფიკი 3.2 კლიენტების ანგარიშებზე არსებული ანაბრები





გრაფიკ 3.2-ზე გამოსახულია სს თიბისი ბანკის კლიენტების ანგარიშებზე არსებული ანაზრები, როგორც ჩანს დინამიკაში როგორც გაცემული სესხები ასევე ანაზრების ზრდა ხდება 2015 წლიდან დღემდე.

გრაფიკი 3.3. წმინდა მოგება



გრაფიკი 3.3-ზე ნაჩვენებია სს თიბისი ბანკის წმინდა მოგების დინამიკა 2015 წლიდან 2017 წლამდე, როგორც ჩანს ბანკი სტაბილურად ნვითარდება შესაბამისად მიდი შემოსავალი სტაბილურად იზრდება, რაც მის სანდოობას უვამს ხაზს.

## დასკვნა

თანახმად წინამდებარე ნაშრომში განხილული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საკითხები სს თიბისი ბანკის მაგალითზე, კონკრეტულად: ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები და მომხმარებლები ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და მათი მომზადების მეთოდოლოგია, ბუღალტრული ბალანსის ანალიზის როლი, მოგება-ზარალის ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა, ბუღალტრული ბალანსის კოეფიციენტები ანალიზის შედეგები, მოგება-ზარალის ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზის შედეგები, ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზის შედეგები

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები არის აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადაარისობათითოეული მათგანი ძალზედ მნიშვნელოვანია ანგარიშგების აღსაქმელად, რადგან თითოეული ფინანსური ანგარიშგება ჰყვეს დაინტერესებული პირები ვისთვისაც მნიშვნელოვანია კონკრეტული კომპანიის მდგომარეობა. ფინანსურ ანგარიშგებას ჰყვას თავის მომხმარებლები, რომელიც იყოფა 2 ჯგუფად: ძირითადი მომხმარებლები და დანარჩენი მომხმარებლები, მაგ: ინვესტორები, დაქირავებული პერსონალი, სახელწიფო და სხვა მომხმარებლები.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია :ბალანსი; ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ; სხვა ანგარიშგებები, მაგალითად, ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ; სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. თითოეული მათგანი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და ქმნის კომპანიის ერთიან ფინანსურ სურათს.

ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი რეალური სურათს. ანგარიშგების ანალიზის მიზანია მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები, შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად, კომპანიის ეფექტურობის გაზრდის მიზი, რატა დაიყვანონ რისკები მინიმუმამდე და მოხდეს კომპანიის მოგების მაქსიმიზაცა.

ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია შევაფასოთ ფინანსური სტაბილურობის ხარისხი, ბუღალტრული ბალანსის ანალიზისათვის გამოიყენება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი, ასევე ცნობილია კომბინირებულ კოეფიციენტები.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას, გავაანალიზოთ კომპანიაში არსებული რესურსების ეფექტიანობა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენებია ფულადი თანხების მოძრაობის მიმართულებები. სწორედ ეს ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას: ხომ არ აქვს საწარმოს ნაღდი ფულის დეფიციტი და უზრუნველყოფს თუ არა კომპანია ვალდებულებების დროულ დაფარვას.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური რეალური სურათის მიტანა მათ მომხმარებელამდე, რათა მათ ჰქონდეთ სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

კვლევის პროცესში ობიექტად შერჩეულ იქნა საქართველოს საბანკო სექტორში ერთ-ერთი წამყვანი ბანკი სს „თიბისი ბანკი“, საინფორმაციო ბაზად აღებულ იქნა მისი 2015-2017 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. სს თიბისი ბანკი არის საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი რომელიც ემსახურება თითქმის 2.9 მილიონ მომხმარებელს ოთხ ბიზნეს სეგმენტში: კორპორატიული, საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესი და მიკრო. ეს არის ქვეყანაში მეორე უდიდესი ბანკი აქტივების მიხედვით და ბაზრის ლიდერი – საცალო დეპოზიტების სეგმენტში, ასევე აღსანიშნავია თიბისი ბანკის დეპოზიტების რაოდენობა უცხოელი კლიენტების. შვილობილ კომპანიებთან ერთად თიბისიში დასაქმებულია თითქმის 7,000 ადამიანი, ბანკი დაარსდა 1992 წელს და 2018 წლის მდგომარეობით ის ფლობს საერთო ჯამში 119 ფილიალით, 392 ბანკომატით და 4,769 პოს-ტერმინალით, ახორციელებს გადარიცხვებს, როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მის ფარგლებს გარეთ.

კვლევამ აჩვენა რომ ბანკის ფინანსური მდგომარეობა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით საერთო ჯამში არის სტაბილური, ისეთი მნიშვნელოვანი კოეფიციენტები როგორცაა აბსოლიტური ლიკვიდურობა, რომლის მინიმალური ზღვარი

უნდა იყოს 20% არის 25%, რათმაუნდა ეს მნიშვნელობა არის კრიტიკულ ზღვართან ძალიან ახლოს, მაგრამ 2015 წლის მონაცემებით მისი მნიშვნელობა იყო 21% და დინამიკაში უმჯობესდება, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტი არის საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში, რომლის ოპტიმალური დიაპაზონი არის 0.08-0.15 8% დაბალი მნიშვნელობა ბანკისათვის არის დამლუპველი რადგან ამ შემთხვევაში ბანკი დგება გაკიტრების წინაშე, თიბისი ბანკის შემთხვევაში აღნიშნული მიშვნელობა არის 20% რაც არ არის ცუდი შედეგი მაგრამ ოპტიმალურ დიაპაზონს სცდება, ბანკის შიდა ფინანსისტებთან გასაუბერბით ეს აიხსენება ბანკის მიერ რამდენიმე წვრილი ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შექმნით, რითაც თავის მხრივ ბანკი კაპიტალს ზრდის, ასევე აღსანიშნავია რომ ბანკის პოლიტიკიდან გამომდინარე, როცა ის ყიდულობს სხვა პატარა საფინანსო ორგანიზაციას არყიდულობს მის პრობლემურ ვალდებულებებს და მათ რეალიზაციას ახდენს გარე იუიდიულ კომპანიებზე.

რაც შეეხება ბანკის აქტივებსა და პასივებს ჩვენი საანგარიშო 3 წლის მიხედვით, როგორც აქტივების მხარე ასევე პასივების მხარე დინამიკაში იზრდება სტაბილურად, რაც ავტომატურად ნიშნავს ბანკის კარგ რეპუტაციას და სანდოობას. აქტივების და პასივების ზრდასთან ერთად იზრდება ბანკის წმინდა მოგებაც.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. ფული და ფულადი სისტემები, თბილისი 2016.
2. ასათიანი რ. საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, თბილისი 2009.
3. ბერიშვილი ი. , ფინანსური აღრიცხვა, თბილისი 2015.
4. გოგოხია მ. საბანკო საქმე, თბილისი, 2006.
5. დოლიაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი 2015.
6. კოვზანაძე კ. კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე, თბილისი 2009.
7. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
8. კუპრეიშვილი ე. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი 2004.
9. კაკულია რ. ბახტაძე ლ. საბანკო სამე, თბილისი 2010.
10. კვატაშიძე ნ. კორპორაციული აღრიცხვა სალექციო კურსი გამოცემლობა მერიდიანი 2010 წელი.
11. მოსიშვილი ვ. მჭედლიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები, თბილისი 2013.
12. მოსიშვილი ვ. მჭედლიძე მ. ფინანსების საფუძვლები, თბილისი 2013.
13. მოსიშვილი ლომიძე ფ. ქოქოსაძე ფ. საბანკო საქმე, თბილისი 2009.
14. მაისურაძე მ. ფინანსური აღრიცხვა, თბილისი 2015.
15. ნიკაშვილი ზ. ფინანსური აღრიცხვა, თბილისი 2007.
16. ლუდუშაური ზ. ფინანსური მენეჯმენტი, თბილისი 2007.
17. ხარაბაძე ე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018.
18. ხორავა ა., კვატაშიძე ნ. სრესელი ნ. გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა თბილისი, 2014.
19. ჭილაძე ი. ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში, თბილისი 2016.
20. ჭილაძე ი. დანახარჯების აღრიცხვის სიტემები, მონოგრაფია, თბილისი 2009.
21. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი, თბილისი 2009.

22. ჭილაძე ი. ფინანსური აღრიცხვის პრობლემური საკითხები, მონოგრაფია, თბილისი 2009.
23. ქოქიაური ლ. საბანკო საქმის საფუძვლები, თბილისი 2006.
24. ძაძამია რ. ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, თბილისი 2002.
25. ცაავა გ. ხანთაძე გ. საბანკო საქმე, თბილისი 2014.
26. ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს).
27. საქართველოს კანონი ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციის შესახებ;
28. საქართველოს კანონი ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციის შესახებ.
29. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. თავი 4. მუხლი 20 საბანკო საქმიანობა. თბილისი 2010.
30. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. მუხლი 26.
31. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს).
32. <http://www.auditgroup.ge/page.php?id=44>
33. [WWW.nbg.ge](http://WWW.nbg.ge)
34. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/51580>
35. [WWW.worldBank.org](http://WWW.worldBank.org)
36. [www.abb.org.ge](http://www.abb.org.ge)

## დანართი

დანართი N 1

მოგება-ზარალი 2017 წელის 31 დეკემბერი

თიბისი ბანკი

ათას ლარებში	2017 წ	2016 წ	2015 წ
საპროცენტო შემოსავალი	1,033,709	766,410	649,059
საპროცენტო ხარჯი	-432,142	-277,122	-236,885
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>601,567</b>	<b>489,288</b>	<b>412,174</b>
საკომისიო შემოსავალი	192,752	142,802	113,837
საკომისიო ხარჯი	-67,951	-52,110	-41,546
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>124,801</b>	<b>90,692</b>	<b>72,291</b>
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებულ მოგებას მირებული დანაკარგები	87,099	70,159	64,642
სუფთა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	4,595	-2,528	2,579
სუფთა ზარალი/(მოგება) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	-36	-206	-575
სუფთა მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	93	9,293	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	31,511	23,214	25,883
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო</b>	<b>124,171</b>	<b>99,932</b>	<b>92,529</b>

<b>შემოსავალი</b>			
სესხის გაუფასურების რეზერვი	-93,823	-49,202	-72,791
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების რეზერვი	-492	-558	-967
ვალდებულების შესრულების გარანტიისა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვი	390	-771	1,117
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	-12,212	-2,569	-3,351
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რეზერვი	-11	-11	-
<b>საოპერაციო შემოსავალი გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით</b>	<b>744,402</b>	<b>626,801</b>	<b>501,002</b>
პერსონალის ხარჯი	-196,826	-171,304	-142,777
ცვეთა და ამორტიზაცია	-36,882	-27,980	-26,286
ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი	2,495	-2,210	-1,102
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-115,746	-108,201	-82,964
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>-346,959</b>	<b>-309,695</b>	<b>-253,129</b>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>397,443</b>	<b>317,106</b>	<b>247,873</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	-34,662	-17,421	-29,176
<b>წლის მოგება</b>	<b>362,781</b>	<b>299,685</b>	<b>218,697</b>



<i>სულ სხვა მოგება</i>			
<i>პუნქტები, რომელიც შეიძლება რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში</i>			
<i>გასაყიდად ფლობილი ინვესტიციების გადაფასება</i>	5,489	522	-2,436
<i>მოგებას გამოკლებული რეალიზაციის შემდეგ მოგება-ზარალში ხელახლა გამოყენების ზარალი</i>		-11,611	-
<i>საჩვენებელ ვალუტაში გადაფასების საკუროსო სხვაობები</i>	-181	-948	-12,075
<i>მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში</i>		1,649	-479
<i>პუნქტები რომლებიც არ შეიძლება რეკლასიფიცირებულ იქნეს მოგება-ზარალში</i>			
<i>ძირითადი საშუალების გადაფასება</i>			28,755
<i>მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში</i>	-422	10,928	-4319
<b>წლის სხვა სრული მოგება</b>	<b>5,248</b>	<b>540</b>	<b>9,446</b>
<b>სულ წლის სხვა სრული მოგება</b>	<b>368,029</b>	<b>300,225</b>	<b>228,143</b>
<i>მოგება მიკუთხული ბანკის მფლობელებისათვის</i>	362,429	302,491	218,879
<i>მოგება მიკუთხული</i>	352	-2,806	-182

არასაკონტროლო წილისთვის			
<b>წლის მოგება</b>	<b>362,781</b>	<b>299,685</b>	<b>218,697</b>
სულ წლის სრული მოგება მიკუთნული			
ბანკის მფლობელებისათვის	367,677	303,031	228,325
არასაკონტროლო წილისთვის	352	-2,806	-182
<b>სულ წლის სრული მოგება</b>	<b>368,029</b>	<b>300,225</b>	<b>228,143</b>

დანართი N2

ბალანსი 2017 წელის 31 დეკემბერი

თიბისი ბანკი

აქტივები	6	2017	2016	2015
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,428,771	944,767	720,347
სახსრები სხვა ბანკებში	8	37,789	23,824	11,042
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	9	1,033,818	990,642	471,490
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		8,325,353	7,133,702	4,444,886
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		657,938	430,703	307,310
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები		449,538	372,956	372,092
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში		143,836	95,031	75,760
საინვესტიციო ქონება		79,232	95,615	57,600
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		19,084	7,429	9,856
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		2,605	3,265	1,546

სხვა ფინანსური აქტივები		134,135	91,895	64,317
სხვა აქტივები		147,792	170,756	103,912
ძირითადი საშუალებები		366,065	313,584	247,767
არამატერიალური აქტივები		83,072	60,698	44,344
გუდვილი		26,892	26,892	2,726
<b>სულ აქტივები</b>		<b>12,937,198</b>	<b>10,761,759</b>	<b>6,934,995</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ		2,644,714	2,199,976	1,113,574
კლიენტების ანგარიშები		7,835,323	6,461,582	4,177,931
სხვა ფინანსური ვალდებულებები		79,774	50,153	39,435
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება		447	2,579	912
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		20,695	23,508	21,714
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		602	5,646	29,244
ვალდებულებისა და დანახარჯების გადახდის რეზერვი		10,306	15,294	9,461
სხვა ვალდებულებები		70,187	62,851	40,627
სუბორდინებული ვალი		426,788	368,381	283,648
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>11,088,836</b>	<b>9,189,970</b>	<b>5,716,546</b>
<b>კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი		21,014	20,617	19,587

აქციის პრემია		521,190	504,161	407,474
გაუნაწილებელი მოგება		1,244,206	960,060	712,743
წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი		-7,272	23,327	12,755
შენობების გადაფასების რეზერვი		70,038	70,460	59,532
გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი		1,809	-3,681	5,759
სავალუტო გადაფასების კუმულატორი რეზერვი		-7,358	-7,538	-6,590
ბანკის კაპიტალის მფლობელებისათვის მიკუთნებული სუფთა აქტივი		1,843,627	1,567,406	1,211,260
არასაკონტროლო წილი		4,735	4,383	7,189
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,848,362</b>	<b>1,571,789</b>	<b>1,218,449</b>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<b>12,937,198</b>	<b>10,761,759</b>	<b>6,934,995</b>

დანართი N 3

ნარდი ფულის მოძრაობის უწყისი 2016 -2017 წწ. 31 დეკემბერი

თიბისი ბანკი

ათასლარებში	2016 წ	2017 წ
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული პროცენტი	735,704	1,000,042
გადასახდელი პროცენტი	-274,955	-425,454
მირებული საკომისიო	144,247	195,285
გადახდილი საკომისიო	-52,154	-68,024
უცხოურ ვალუტასი ვაჭრობიდან მირებული მიღებული შემოსავალი	70,411	87,099
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	8,411	8,980
გადახდილი პერსონალის ხარჯი	-147,764	-182,100
გადასახდელი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-103,182	-109,663
გადახდილი მოგების გადასახადი	-34,279	-53,916
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>346,439</b>	<b>452,249</b>
სუფთა ცვლილება საოპერაციო აქტივებში		
სხვა ბაკიდან გადასახდელი თანხები	-449,150	-97,430

და სებ-ში სავალდებულო ნაშთი		
კლიენტზე გაცემული სესხები და ავანსები	-1,221,499	-1,330,105
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში	-11,687	-49,297
სხვა ფინანსური აქტივები	-22,855	-38,610
სხვა აქტივები	-741	74,213
<b>სუფთა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>		
თანხები სხვა ბანკებში	268,078	-228,486
კლიენტის ანგარიშები	1,156,780	1,339,814
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,903	23,541
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯების უზრუნველყოფა	332	3,617
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები.</b>	<b>71,600</b>	<b>66,027</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქალაქების შეძენა	-143,980	-560,226
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქალაქების გაყიდვიდან შემოსვლები	11,868	-
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქალაქების დაფარვის ვადის	166,871	345,748

დადგომისას განაღდებადნ მიღებული შემოსავლები		
შვილობილი კომპანიების შეძინა მიღებული ფულის გარეშე	-200,700	273
ამორტიზირებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შეძენა	-304,109	-307,248)
ამორტიზირებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი	314,231	242,380
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-50,516	-113,454
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,273	1,933
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალები	7,822	19,082
<b>წმინდა ფულადი სახსრების საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>-197,240</b>	<b>-372,058</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		
შემოსავლები სხვა ნასესხები სახსრებიდან	905,500	1,483,191
სხვა ნასესხები სახსრების გადახდა	-666,156	-800,333
შემოსავლები სუბორდინირებული ვალიდან	136,817	119,859
სუბორდინირებული ვალის გადახდა	-90,416	-59,671



შემოსავლები სავალო ინსრუმენტების გამოშვებიდან	4,354	-
გამოშვეული სავალო ინსრუმენტების გადახდა გადახდილი დივიდენდები	-4,636	-2,123
დამატებითი წილის შექენა არასაკონტროლო აქციების მქონ აქციონერების მიერ	-54,560	-78,284
ჩვეულებრივი აციების გამოშვება	100,000	-
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები	-3,495	-23,745
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>327,408</b>	<b>638,923</b>
სავალუტო კურსის ეფექტი	22,652	67,633
<b>წმინდა ზრდა/(კლება) ფულისა და ფულის ექვივალენტებში</b>	<b>224,420</b>	<b>484,004</b>
ფულიდაფულისექვივალენტებშიწლი სდასაწყისში	720,347	944,767
<b>ფულიდაფულისექვივალენტებშიწლი სბოლოს</b>	<b>944,767</b>	<b>1,428,771</b>